F-133
1966

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5

სექტემბერი — ოქტომბერი

1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

4 - 3609

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 5 სექტემბერი—ოქტომბერი 1966 წ.

შინაარსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს დადგენილებები

92. საქართველოს სსრ მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის პირობების, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
93. იმის შესახებ, რომ დაწესდეს შოფრების დასაჯილდოებლად სამკერდე ნიშანი „უაეარიო მუშაობისათვის“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

94. საქართველოს სსრ მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ.
95. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
96. არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების შესახებ.
97. სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასებისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების მომზადებისათვის მუშაობის ძირითად მიმართულებათა და ორგანიზაციის შესახებ.
98. საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების გამოყენების პრაქტიკის შესახებ.
99. მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ საკითხის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ოფიციალურ ფარგლებში.

3. დაწესდეს, რომ სამრეწველო საწარმოების მშენებლობის დროს, როგორც წესი, პირველ რიგში, ხორციელდება საყოფაცხოვრებო კორპუსებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა იმ მიზნით, რომ მშენებლებმა ისინი გამოიყენონ როგორც დროებითი სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომები.

4. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

ა) უზრუნველყოს ჯანმრთელობის დაცვის ტერიტორიული ქსელის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სპეციალიზებული სამედიცინო დახმარების გაწევა იმ მუშაკებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში;

ბ) საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროსთან, სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროსთან ერთად, ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადება მშენებლობებზე და საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, საჭირო შემთხვევებში, შესაბამისი ნორმატივების შესაბამისად, სამედიცინო-სანიტარული ნაწილების შექმნის შესახებ.

5. პროფკავშირთა საოლქო საბჭოებმა, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკურმა, სამშენებლო და საქარხნო კომიტეტებმა:

სისტემატური მუშაობა გასწიონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ კონტროლი მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში შრომის დაცვის მდგომარეობისადმი, მიაღწიონ იმას, რომ დროულად სრულდებოდეს საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, მშენებლობებსა და საწარმოებში ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნის ღონისძიებანი;

— განახორციელონ მუდმივი კონტროლი აღნიშნულ მშენებლობებზე და საწარმოებში უსაფრთხობის ტექნიკის და საწარმოო სანიტარიის წესებისა და ნორმების შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**	საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 სექტემბერი, № 557.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს დადგენილება № 622

1966 წლის 9 აგვისტო

მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში დასაქმებულ მუშაკთა შრომის პირობების, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და სრულიად საკავშირო პროფსაბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში გაწეულია მნიშვნელოვანი მუშაობა პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვისათვის, ტექნიკისა და მექანიზაციის საშუალებათა სრულყოფისათვის და მომუშავეთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების გაუმჯობესებისათვის, რაც ხელს უწყობს მუშაკთა შრომის პირობების შემსუბუქებას, საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა შემცირებას.

მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ უბედურ შემთხვევათა რიცხვი მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში საერთოდ ყოველწლიურად კლებულობს, მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკათა მშენებლობებზე და სამინისტროების საწარმოებში საწარმოო ტრავმატიზმის შემთხვევები კვლავ ბევრია.

როგორც შემოწმებამ გვიჩვენა, მრავალ მშენებლობაზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში ცუდად არის დაყენებული მუშაკთა სანიტარულ-საყოფაცხოვრებო და სამედიცინო მომსახურება.

სამშენებლო სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ შრომის ორგანიზაციისა და დაცვის პრობლემების მეცნიერულად შემუშავებას, რის შედეგად შრომის მეცნიერული ორგანიზაცია ვერ პოულობს საჭირო გამოყენებას მშენებლობებზე, ხოლო უსაფრთხობის ტექნიკის განხორციელებული ღონისძიებანი მთელ რიგ შემთხვევებში არასაკმაოდ არის მეცნიერულად დასაბუთებული.

მთელ რიგ სამშენებლო ორგანიზაციებსა და საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის ზოგიერთ საწარმოში უსაფრთხობის ტექნიკის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა აგრეთვე იმის შედეგია, რომ სუსტად არის დაყენებული საწარმოო დისციპლინა, არასაკმაო კონტროლს უწევენ სამინისტროები, უწყებანი, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელები შრომის დაცვის ნორმების შესრულებას, აგრეთვე ცუდად არის დაყენებული უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესების პროპაგანდა. მთელ რიგ მშენებლობებზე არ მოიპოვება სამუშაოთა წარმოების

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროექტები, ხოლო იქ, სადაც ასეთი პროექტები არის, სამუშაოების უსაფრთხოების წარმოების განაყოფები სუსტადაა დამუშავებული საპროექტო ორგანიზაციების მიერ.

მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში შრომის პირობების, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის შემდგომი გაუმჯობესების, აგრეთვე საწარმოო ტრავმატიზმისა და პროფესიულ დაავადებათა მიზეზების აღმოფხვრის მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო და პროფკავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სამინისტროებმა და უწყებებმა:

ა) უზრუნველყონ შრომის უსაფრთხო პირობების შექმნა მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში; პროფკავშირთა შესაბამის საბჭოებთან და კომიტეტებთან ერთად სამი თვის ვადაში შეიმუშაონ და განახორციელონ 1966-1970 წლებში ქვესაუწყებო მშენებლობებზე და საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში შრომის პირობების გაუმჯობესების ღონისძიებანი, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ხელით შრომის გამოყენების შემცირებას, უსაფრთხობის ტექნიკის საშუალებათა გაუმჯობესებასა და სრულყოფას, საკენტილაციო სისტემათა და დანადგართა მოწყობას, სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომების მშენებლობას და საზოგადოებრივი კვების პუნქტებისა და სამედიცინო პუნქტების შექმნას;

ბ) დაწესებული წესით მოაწყონ სამშენებლო სამინისტროებსა და საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროებში უსაფრთხობის ტექნიკის განყოფილებანი ამ სამინისტროების ცენტრალური აპარატისათვის დაწესებული საშტატო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

აღნიშნული განყოფილებანი რესპუბლიკურ სამინისტროებში შეიქმნას რესპუბლიკისათვის დამტკიცებულ ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში;

გ) განიხილონ საკითხები იმის შესახებ, რომ შეიქმნას ან გაძლიერდეს უსაფრთხობის ტექნიკის სამსახური სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებში და საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, აგრეთვე შეიქმნას ან გაფართოვდეს შესაბამისი ქვედანაყოფები (ლაბორატორიები, განყოფილებები და სექტორები) სამეცნიერო-საკვლევ, საპროექტო, საკონსტრუქტორო და სხვა ორგანიზაციებში, იმ მიზნით, რომ შესრულდეს უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო სამუშაოები სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებისა და საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებისათვის.

2. სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ, მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალურ კომიტეტთან შეთანხმებით, შეიმუშაონ და დაამტკი-

ცონ 1967 წელს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებსა და საშენ მასალათა მრეწველობის და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში უსაფრთხოების ტექნიკის სამსახურის ტიპიური დებულებანი.

3. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ქვესაუწყებო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ძალებით, აგრეთვე სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტებმა, უზრუნველყონ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ სამუშაოთა შესრულება მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხებზე, № 1 დანართის თანახმად.

4. სსრ კავშირის სახმშენმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტმა, სრულიად საკავშირო პროფსაბჭომ და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ უზრუნველყონ 1966-1970 წლებში სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა შესრულება ქვესაუწყებო სამეცნიერო-საკვლევი ორგანიზაციების ძალებით, დარგობრივი ინსტიტუტების მონაწილეობით, რათა შემუშავდეს წინადადებანი მუშათა შრომის პირობების შემდგომი შემსუბუქებისათვის, პირველ რიგში იმ ქალთა შრომისა, რომლებიც დასაქმებულნი არიან მძიმე სამუშაოებზე და მავნე პირობების მქონე სამუშაოებზე მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, აგრეთვე შეიმუშაონ იმ სიმძიმეთა ჯამობრივი ნორმები, რომელთა გადაადგილება შეუძლიათ ქალებს ხელით სამუშაო ცვლაში, და სხვა შესაბამისი ნორმები.

5. სსრ კავშირის სახმშენმა, სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრომ, სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრომ, სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრომ და სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყონ ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება სამშენებლო და საგზაო მანქანების და მოწყობილობათა ავტომატური დაცვის ხელსაწყოების დასამზადებლად, ამ მანქანებისა და მოწყობილობათა საცდელი ნიმუშების დამზადება, გამოცდა და მათი სამრეწველო წარმოების ათვისება № 2 დანართში აღნიშნული ვადების თანახმად.

6. დაწესდეს, რომ სამრეწველო ობიექტების მშენებლობის დროს, როგორც წესი, პირველ რიგში, ხორციელდება საყოფაცხოვრებო კორპუსებისა და სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა მშენებლობა, რათა ისინი მშენებლებმა დროებით გამოიყენონ სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სადგომებად.

7. სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ უზრუნველყოს 1967-1970 წლებში თავის სახლმშენებლობის საწარმოებში (სტანდარტული, ასაწყობი, ხის საცხოვრებელი სახლების გამოშვების გეგმის ანგარიშში) 25 ათასი კონტეინერული ტიპის გადასატანი სადგომის დამზადება სამედიცინო და სანიტარულ-საყოფაცხოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებო მომსახურების მოსაწყობად იმ სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს მუშაკების მომსახურებისათვის, რომლებიც სამუშაოებს აწარმოებენ სოფლად. სახაზო ნაგებობათა მშენებლობებზე და ასრულებენ მოკლევადიან სამუშაოებს სხვადასხვა სამშენებლო ობიექტებზე, მათ შორის 5 ათასი ცალი — 1967 წელს, 6 ათასი ცალი — 1968 წელს და შვიდ-შვიდი ათასი ცალი 1969 და 1970 წლებში.

სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტრომ უზრუნველყოს კონტეინერული ტიპის სადგომებისათვის საჭირო საყრდენი ლითონის ჩარჩოების სათანადო რაოდენობით დამზადება და მათი მიწოდება სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სახლმშენებლობის საწარმოებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა გაითვალისწინოს შავი ლითონების ნაგლინის გამოყოფა აღნიშნული საყრდენი ჩარჩოების დასამზადებლად იმ მომხმარებელთა ფონდების ხარჯზე, რომელთაც მიეწოდებათ კონტეინერული ტიპის სადგომები, აგრეთვე გაითვალისწინოს ორღერძიანი ექვსტონიანი დაბალჩარჩოიანი ავტომისაბმელების საჭირო რაოდენობით დამზადება კონტეინერული ტიპის სადგომების ტრანსპორტირებისათვის, და მათი გამოყოფა მიზნობრივი დანიშნულებით სამშენებლო სამინისტროებისათვის.

დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს უზრუნველყოს 1966 წლის აგვისტოში სსრ კავშირის ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროსათვის ტექნიკური დოკუმენტაციის გადაცემა კონტეინერული ტიპის სადგომების დასამზადებლად, ხოლო სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროსათვის — ამ სადგომების საყრდენი ლითონის ჩარჩოების ნახაზები.

8. ნება დაერთოს სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაციებს შეიძინონ, შემკვეთთან შეთანხმებით, კონტეინერული ტიპის სადგომები იმ სახსრების ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია ამ ორგანიზაციების შეჯამებული სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებებით დროებითი შენობებისა და ნაგებობების მშენებლობისათვის.

9. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ:

აღმოუჩინონ ჯანმრთელობის დაცვის ტერიტორიული ქსელის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებებში სპეციალიზებული სამედიცინო დახმარება იმ მუშაკებს, რომლებიც დასაქმებული არიან მშენებლობებზე და საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოში.

მოაწყონ საჭირო შემთხვევებში აღნიშნულ მშენებლობებზე და საწარმოებში სამედიცინო-სანიტარული ნაწილები არსებული ნორმატივების შესაბამისად.

10. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტმა:

პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტებთან და სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსთან ერთად შეიმუშაოს და 1966-1967 წლებში გამოს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცეს სანიტარულ-პროპაგანდისტული პლაკატების სერიები მავნე საწარმოებში პირადი ჰიგიენის წესების დაცვის და პროფესიულ დაავადებათა პროფილაქტიკის საკითხებზე, აგრეთვე მშენებლობებზე და საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში ვიბრაციულ დაავადებათა აცილების საკითხებზე;

გაითვალისწინოს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა 1967-1968 წლების გეგმით, დაინტერესებული სამშენებლო სამინისტროების დაკვეთით, ფერადი პლაკატების დამზადების ტექნოლოგია მშენებლობებზე უსაფრთხობის ტექნიკის შესახებ, ისეთი მასალების გამოყენებით, რომლებიც მდგრადი არიან ატმოსფერული ზემოქმედებისადმი.

11. მშენებლობის და საშენ მასალათა მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალურმა, რესპუბლიკურმა, სამხარეო, საოლქო, სამშენებლო და საქარხნო კომიტეტებმა:

სისტემატური მუშაობა გასწიონ შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცებისათვის, გააძლიერონ კონტროლი შრომის დაცვის მდგომარეობისადმი მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში, მიაღწიონ საწარმოო პროცესების შემდგომი მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ღონისძიებათა დროულად შესრულებას და მშენებლობებზე და საწარმოებში ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნას;

განახორციელონ მუდმივი კონტროლი აღნიშნულ მშენებლობებზე და საწარმოებში უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის წესებისა და ნორმების შესრულებისადმი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს
მდივანი
ვ. პროხოროვი.

№ 5

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს
1966 წლის 9 აგვისტოს № 622
დადგენილების დანართი № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

1966-1970 წლებისათვის მშენებლობებზე, საშენ მასალათა მრეწველობისა და სამშენებლო ინდუსტრიის საწარმოებში შრომის პირობების გაუმჯობესების უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო-საკვლევ და საცდელ სამუშაოთა შესასრულებლად

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
ისრიანი თვითმავალი ამწის დახრილობის მაჩვენებლები ამწის ავარიული მდგომარეობის სიგნალიზაციის მოწყობილობით	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1966 წელი
რკინიგზის ვაგონებში, ვაგონცემენტსაზიდარებსა და ავტოცემენტსაზიდარებში ცემენტის ავტომატურად ჩამტვირთავი (გადმომტვირთავი) სისტემები	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1966 წელი
მიწასათხრელი მანქანების (ბულდოზერები, ექსკავატორები, სკრეპერები და სხვა) ფერდობებზე მუშაობისას დახრილობის საშიში კუთხის ავტომატური სიგნალიზაციის მოწყობილობა	სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო ელექტრომოწყობილობის, კარბიურატორებისა და ხელსაწყოთა სამეცნიერო-საკვლევი და ექსპერიმენტული ინსტიტუტი და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1966 წელი

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
ელექტროგადაცემის საჰაერო ხაზებთან მანქანების მიახლოვებისას სიგნალიზაციისა და ავტომატური გაჩერების აპარატურა	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი; სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიწასათხრელი მანქანების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1967 წელი
სამშენებლო-სამონტაჟო ამწეთა ტვირთამწეობის უნივერსალური უკონტაქტო შემზღუდველი	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიწასათხრელი მანქანების სრულიად საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი, სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1968 წელი
დიდ ჯოჯგინა ამწეთა ფეხის გადახრის კონტროლისა და სინქრონიზაციის ავტომატური ხელსაწყო	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ს. ი. ჟუკოვის სახელობის სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „ჰიდროპროექტი“	1966 წელი
ქარის სიჩქარის გადამწოდიდან მართული ავტომატური ძვრასაწინაღო ხელსაწყო დიდ ჯოჯგინა და კოშკურა ამწეებისათვის	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ს. ი. ჟუკოვის სახელობის სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „ჰიდროპროექტი“	1966 წელი
ШЗ-1 ტიპის ავტომატური ელექტრონული ლითონმაძიებელი — იმ არამადნეულ მასალებში, ლითონური ჩანართის არსებობის სიგნალიზაციისათვის, რომელთა ტრანსპორტირება წარმოებს ლენტური ტრანსპორტიორებით (ადგილსამყოფელის ნიშანდებით)	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტის ოდესის ფილიალი	1966 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
ხელსაწყო 127-220-380 ვოლტის ძაბვის ელექტროფიცირებული ინსტრუმენტის ავტომატურად მყისვე გაღართვისათვის	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1966 წელი
ტიპიური საინვენტარო ელექტროქსელები სამშენებლო მოედნებისათვის და უსაფრთხო ჩასართავი ხელსაწყოები	მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარმოსმშენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი „მოსმშენი“ და სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „ტიაკპრომელექტროპროექტი“	1967 წელი
ელასტიკური დამცავი დიელექტრიკული ხელთათმანები 127-220-380 ვოლტის ძაბვის ელექტროდანადგართა მომსახურე პირთათვის	სსრ კავშირის ნავთობგადამუშავებითი და ნავთობქიმიური მრეწველობის სამინისტროს რეზინისა და ლატექსის ნაკეთობათა სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1966 წელი
ხე-ტყის, ხარაჩოების, კოშკების, კიდული საკიდელების, ავეანდების და იმ სხვა მოწყობილობათა უნიფიკაცია და ნორმალიზაცია, რომლებიც გამოიყენება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი, საპროექტო ინსტიტუტი № 3 და სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „მრეწვმშენპროექტი“	1967 წელი
იმ სამშენებლო ინვენტარისა და მოწყობილობის უნიფიკაცია და ნორმალიზაცია, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო მოედნებზე მომუშავეთა შრომის უსაფრთხობას	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1968 წელი
მექანიზაციის საშუალებანი და სამუშაოთა ტექნოლოგია, რომლებიც გამორიცხავენ გრუნტის ხელით აღებას ჰორიზონტალური ჩაქუჩეტის მეთოდით მიწისქვეშა კომუნიკაციების გაყვანის დროს	მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარმოსმშენის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, მძიმე, ენერგეტიკული და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიწისქვეშა და საშახტო მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო საკონსტრუქტორო ინსტიტუტი და მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარმოსმშენის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი „მოსმშენი“	1967 წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
მშენებარე შენობების ზემოსართულებში იატაკის ფიცრების, აბაზანების, სანტექნიკური და ელექტროსამონტაჟო მოწყობილობათა მექანიზებული წესით მიწოდების უსაფრთხო და რაციონალური ტექნოლოგია	მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული მთავარმოსმშენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი „მოსმშენი“	1966 წელი
შრომის უსაფრთხო და ჯანსაღი პირობების უზრუნველყოფა სამშენებლო ლითონკონსტრუქციების სილაქავლურ გაწმენდაზე	სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1967 წელი
შრომის უსაფრთხო პირობების უზრუნველყოფა პოლიმერული მასალებით საკვამლე მილების კოროზიისაგან დაცვის სამუშაოების წარმოების დროს	სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტი „თბოპროექტი“	1966 წელი
ერთციცხვიანი უნივერსალური ექსკავატორის ავტომატური მართვის სისტემა	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მიწასათხრელი მანქანების სრულიად საკავშირო სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი	1966 წელი
სისტემა და აპარატურა სივრცეში ტვირთის მდგომარეობის დასადგენად	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ს. ი. ჟუკოვის სახელობის სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „ჰიდროპროექტი“	1966 წელი
სვეტების, სვეტის ქვედებისა და სხვა კონსტრუქციების საპროექტო მდგომარეობაში დაყენების ავტომატური კონტროლის აპარატურა	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ს. ი. ჟუკოვის სახელობის სრულიად საკავშირო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „ჰიდროპროექტი“ და ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1967 წელი
ნახევარგამტართა მოწყობილობა (ფოტორელე) სამშენებლო მოედნების გარეგანათების ავტომატურად მართვისათვის	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს მინსკის ელექტროტექნიკური ქარხნის საკონსტრუქტორო ბიურო	1966 წელი
შესადუღებელი დანადგარის კომპლექტი ტრანსფორმატორის ავტომატურად გამოსართავი მოწყობილობით	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1966 წელი

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
კონდუქტორი სადისტანციო მართვით 40 ტონამდე წონის სვეტების საპროექტო მდგომარეობაში შემოწმებისა და დაყენებისათვის	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ექსპერიმენტული ინსტიტუტი და სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი	1966 წელი
ჰერმეტული კაბინა კონდიცირებული ჰაერით თვითმავალ ამწეთა და ექსკავატორთა მემანქანეებისათვის	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და მიწასათხრელი მანქანების სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1967 წელი
სპეციალური ტანისამოსი და ფეხსაცმელი ქიმიური ან ელექტრონული გამთბობით დაბალი ტემპერატურის პირობებში მომუშავეთათვის	სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს სამკერვალო მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, ტყავისა და ფეხსაცმლის მრეწველობის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის ინსტიტუტი	1968 წელი
სამშენებლო მანქანებისა და მექანიზმების რაციონალური შეღებვის რეკომენდაციათა ტიპიური სქემები	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1967 წელი
სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალური სამუშაოების პირობებში არზამიტსაგოზების უსაფრთხო გამოყენების წესები	სსრ კავშირის მედიცინის აკადემიის შრომის ჰიგიენისა და პროფდაავადებათა ინსტიტუტი	1967 წელი
ულტრაბგერიანი საფრქვეველი მაღალი ძაბვის ელექტრონულ ველში ნაკეთობათა შესაღებავად	სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრო	1967 წელი

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა სანიტარულ-საყოფაკოვრებო სადგომების ტიპიური პროექტები	სსრ კავშირის გაზის მრეწველობის სამინისტროს მაგისტრალური გაზსადენებისა და სპეციალური მშენებლობის დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი „სახსპეცგაზპროექტი“, სსრ კავშირის სახმშენის საპროექტო ინსტიტუტი № 1 (ქ. ლენინგრადი), სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი, სსრ კავშირის სახმშენის საპროექტო ინსტიტუტი № 2 (ქ. მოსკოვი), სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს სახელმწიფო საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი „სახმრეწვტრანსმშენპროექტი“	1966 წელი
მშენებლობაში საწარმოო ტრავმატიზმის ანალიზის მეთოდიკა	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი და სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1967 წელი
დამცველი სარტყელი, პარაშუტები და სხვა მოწყობილობა ზემცოცავის სამუშაოებისათვის (საცდელი ნიმუშების შესწავლა და სრულყოფა, ნორმალების შედგენა)	სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის ლენინგრადის ინსტიტუტი, სსრ კავშირის სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამინისტროს საპროექტო ინსტიტუტი „მრეწვფოლადკონსტრუქცია“	1966 წელი
„უსაფრთხობის ტექნიკა მშენებლობაზე“ სნ და პ, შ-ა 11-62 თავის ანალიზი და მასში დამატებათა და შესწორებათა შეტანა სამშენებლო სამუშაოთა ტექნოლოგიის განვითარების გათვალისწინებით	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-საძიებო ინსტიტუტი	1967 წელი
ეფექტური მტვერსაჭერი სისტემები სამსხვრევ-სახარისხებელი აგრეგატებისათვის	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს არამადნეულ საშენ მასალათა და ჰიდრომექანიზაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1968 წელი
პოლიმერულ საშენ მასალათა ტოქსიკურობის აღმოფხვრის საშუალებანი და მეთოდები მათ საფუძველზე სამშენებლო დეტალების წარმოების დროს	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ახალ საშენ მასალათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1967 წელი

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
ცემენტის კლინკერის გამოწვის დროს აფეთქებათა გამომწვევი მიზეზების შესწავლა და პრაქტიკულ საშუალებათა შემუშავება მათი აცილებისათვის	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცემენტის მრეწველობის სახელმწიფო საკავშირო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი „სახცემენტპროექტი“	1967 წელი
სილოსში და შემვსებთა საშტაბელე საწყობში კამარისა და ჩაკიდების აღმოფხვრის საშუალებანი	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს დაპროექტებისა და სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტი „სამხრეთცემენტპროექტი“ და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი	1966 წელი
შუშის ქარხნების სამანქანო-სააბაზანო საამქროებში ჰაერის კონდიცირება (ტიპიური პროექტის შემუშავება)	სსრ კავშირის სახმშენის სახელმწიფო საპროექტო ინსტიტუტი „სანტექპროექტი“	1967 წელი
ბრძოლის ღონისძიებანი მავნე ვიბრაციისა და ხმაურის წინააღმდეგ: ცემენტის მრეწველობაში	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობაში აირსაწმენდ ნაგებობათა, უსაფრთხობის ტექნიკისა და შრომის დაცვის სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტი და ცემენტის მრეწველობის სახელმწიფო საკავშირო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი „სახცემენტპროექტი“	1967 წელი
ასაწყობის რკინაბეტონის წარმოებაში	სსრ კავშირის სახმშენის ვ. ა. კუჩერენკოს სახელობის სამშენებლო კონსტრუქციების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სამშენებლო ინდუსტრიის მანქანათა სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი და სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლეევი ინსტიტუტი	1970 წელი

F-3009.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
არამადნეულ საშენ მასალათა მრეწველობაში	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს არამადნეულ საშენ მასალათა მრეწველობის საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა სრულიად საკავშირო სახელმწიფო ინსტიტუტი და არამადნეულ საშენ მასალათა და ჰიდრომექანიზაციის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	1968 წელი
შუასადებ მასალათა კონსტრუქცია და მათი გამოყენება მანქანათა კვანძებში მავნე ვიბრაციისა და ხმაურის შემცირების მიზნით	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ინდუსტრიის მანქანების სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტი,	
	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ახალსაშენ მასალათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების დაპროექტების სახელმწიფო ინსტიტუტი სახსაშენ მასალათა პროექტი	1966 წელი
საარმატურო ღეროების ელექტროთერმიულ გახურების დანადგართა უსაფრთხო კონსტრუქციები	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ასაწყობი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და ნაკეთობათა საქარხნო ტექნოლოგიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და ურალის საშენ მასალათა სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ინსტიტუტი	1966 წელი
მზანაკეთობათა აწევისა და ტრანსპორტირებისათვის საჭირო სატაცების, სტრუბცების და სხვა ხელსაწყოთა უსაფრთხო კონსტრუქციების შემუშავება	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1967 წელი
შრომის პირობების გაუმჯობესება აგურის გამომწველთა სამუშაო ადგილებზე	სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოების დაპროექტების სახელმწიფო საკავშირო ინსტიტუტი	1967 წელი
კონტაქტური შედუღებისა და ფლუსებით შედუღების დროს წარმოქმნილი აირის ამოსაწოვი დანადგარის მოწყობა	სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის ლენინგრადის ინსტიტუტი	1968 წელი

სამუშაოს თემის დასახელება	სამუშაოს შემსრულებელი	სამუშაოს დამთავრების ვადა
ჩასატარებელი დეტალების უსაფრთხო ანტიკოროზიული დაფარვის შემუშავება, იაცვლად მოთუთიებულისა	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1968 წელი
ტვირთსატაცი მოწყობილობა იზოლაციით დაფარულ სხვადასხვა ზომის ლითონის მილების გადაადგილებისათვის	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1968 წელი
ტვირთსატაცი მოწყობილობა სხვადასხვა ზომის რკინაბეტონის ძილების გადაადგილებისათვის	სსრ კავშირის სახმშენის მშენებლობის ორგანიზაციის, მექანიზაციისა და ტექნიკური დახმარების ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო-ექსპერიმენტული ინსტიტუტი	1968 წელი
ტიპიური გადასატანი დანადგარი ჰაერის გასაწმენდად დახურულ სადგომებსა და ტევადობებში აირელექტროშედუღებითი სამუშაოების დროს	სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს შრომის დაცვის სრულიად საკავშირო ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და შრომის დაცვის ლენინგრადის ინსტიტუტი	1966 წელი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და
სრულიად საკავშირო პროფსაბჭოს
1966 წლის 9 აგვისტოს № 622
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐ

სამშენებლო და საგზაო მანქანა-მოწყობილობათა ავტომატურად დაცვის ხელსაწყოების ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავებისა, საცდელ ნიმუშთა დამზადებისა, გამოცდისა და სამრეწველო ათვისებისათვის

ხელსაწყოთა დასახელება	სამუშაოთა შესრულების ვადები და შემსრულებლები		
	ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება	საცდელი ნიმუშის დამზადება და გამოცდა	სამრეწველო წარმოების ათვისება
	1966 წელი	1966-1967 წლები	1967 წელი
ასრიან თვითმავალ ამწეთა და მიწასათხრელ მანქანათა ფერდობებზე მუშაობის დროს დახრილობის მაჩვენებლები, ავარიულ გადახრათა მაუწყებელი სიგნალიზაციით	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო ელექტრომოწყობილობათა, კარბიურატორთა და ხელსაწყოთა სამეცნიერო-საკვლევი და ექსპერიმენტული ინსტიტუტ	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტროს საავტომობილო ელექტრომოწყობილობათა, კარბიურატორთა და ხელსაწყოთა სამეცნიერო-საკვლევი და ექსპერიმენტული ინსტიტუტი	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ტალინის საზომ ხელსაწყოთა ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელსაწყოთა დასახელება	სამუშაოთა შესრულების ვადები და შემსრულებლები		
	ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება	საცდელი ნიმუშის დამზადება და გამოცდა	სამრეწველო წარმოების ათვისება
	1966 წელი		
ელექტროგადაცემის ხაზებთან მანქანების მიახლოებისას სიგნალიზაციისა და ავტომატური გაჩერების აპარატურა	სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშენებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიწასათხრელ მანქანათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	განსაზღვრავს სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ და ვადებს აწესებს დამკვეთთან ერთად	განსაზღვრავს სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტრო ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ და ვადებს აწესებს დამკვეთთან ერთად
	1968 წელი	1968 წელი	1969 წელი
სამშენებლო-სამონტაჟო ამწეთა ტვირთამწეობის უნივერსალური უკონტაქტო ძემზღუდველი	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს მიწასათხრელ მანქანათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი და სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტროს ენერგეტიკული მშნებლობის ორგანიზაციის დაპროექტების სრულიად საკავშირო ინსტიტუტი და სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს საცდელ მანქანათა, ხელსაწყოთა და მასის საზომ საშუალებათა სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ინსტიტუტი	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს კრასნოდარის ტენზომეტრულ ხელსაწყოთა ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს კრასნოდარის ტენზომეტრულ ხელსაწყოთა ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელსაწყოთა დასახელება	სამუშაოთა შესრულების ვადები და შემსრულებლები		
	ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება	საცდელი ნიმუშის დამზადება და გამოცდა	სამრეწველო წარმოების ათვისება
		1966 წელი	1967 წელი
ავტოგრეიდერთა ფრთების ავტომატურად მართვის აპარატურა	ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებულია	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სსრ კავშირის სამინისტროს ტოპკინის მექანიკური ქარხანა და სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს ბრიანსკის საგზაო მანქანათმშენებლობის ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ტოპკინის მექანიკური ქარხანა
		1966 წელი	1967 წელი
კოშკურ ამწეთა რადიოპროგრამული მართვის აპარატურა	ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებულია	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ნალჩიკის ტელემექანიკური აპარატურის ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ნალჩიკის ტელემექანიკური აპარატურის ქარხანა
	1968 წელი	1968 წელი	1969 წელი
კოშკურა ამწეთა რადიოპროგრამული მართვის აპარატურა უკიდურესი ჩრდილოეთის რაიონებისათვის (გსპ-ის უნიფიცირებულ ბლოკებზე)	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ნალჩიკის ტელემექანიკური აპარატურის ქარხნის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, ავტომატიკისა და ტელემექანიკის ინსტიტუტი და სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ნალჩიკის ტელემექანიკური აპარატურის ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს ნალჩიკის ტელემექანიკური აპარატურის ქარხანა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელსაწყოთა დასახელება	სამუშაოთა შესრულების ვადები და შემსრულებლები		
	ტექნიკური დოკუმენტაციის შემუშავება	საცდელი ნიმუშის დამზადება და გამოცდა	სამრეწველო წარმოების ათვისება
		1966 წელი	1967 წელი
ბეტონის ქარხნებისათვის განკუთვნილი დოზატორები, რომლებიც აღჭურვილნი არიან უცკ-უცდ ხელსაწყოებით და დ-3 გადამწოდით, რაც უზრუნველყოფს სადისტანციო მართვასა და კონტროლს	ტექნიკური დოკუმენტაცია შემუშავებულია	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს კოკჩეტავსკის მექანიკური ქარხანა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის პორციული ავტომატების საცდელი ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს კოკჩეტავსკის მექანიკური ქარხანა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის პორციული ავტომატების საცდელი ქარხანა
	1966 წელი	1967 წელი	1968 წელი
რკინიგზის ვაგონებში, ვაგონცემენტსაზიდარებსა და ავტოცემენტსაზიდარებში ცემენტის ავტომატური წონითი ჩამტვირთავი აპარატურა	სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სსრ კავშირის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს ცემენტის მრეწველობის სახელმწიფო სრულიად საკავშირო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, სსრ კავშირის სახშენის სამრეწველო ტრანსპორტის სრულიად საკავშირო სახელმწიფო საპროექტო და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს არმავირის ხელსაწყოთმშენებლობის ქარხანა და კოკჩეტავსკის მექანიკური ქარხანა	სსრ კავშირის ხელსაწყოთმშენებლობის, ავტომატიზაციის საშუალებათა და მართვის სისტემათა სამინისტროს არმავირის ხელსაწყოთმშენებლობის ქარხანა, კოკჩეტავსკის მექანიკური ქარხანა, ფ. ე. ძერჟინსკის სახელობის პორციული ავტომატების საცდელი ქარხანა და სსრ კავშირის სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს კრასნოგორსკის ცემენტის მანქანათმშენებლობის ქარხანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

93 იმის შესახებ, რომ დაწესდეს შოფრების დასაჯილდოებლად სამკერდე ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“

იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს შოფრების პასუხისმგებლობა ქუჩაში მოძრაობის წესების დაცვისათვის, წახალისებულ იქნას მათი შრომა და აღიკვეთოს საგზაო შემთხვევები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს სამკერდე ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ იმ შოფრების დასაჯილდოებლად, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უმუშავნიათ შრომის დისციპლინის და ქუჩაში მოძრაობის წესების დაურღვევლად და არ ჰქონიათ არც ერთი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა.

2. დამტკიცდეს სამკერდე ნიშნები „უავარიო მუშაობისათვის“ სამი ხარისხისა:

ა) I ხარისხის — იმ შოფრების დასაჯილდოებლად, რომლებსაც აქვთ ავტომობილით გარბენა 500 ათას კილომეტრზე მეტი;

ბ) II ხარისხისა — იმ შოფრების დასაჯილდოებლად, რომლებსაც აქვთ ავტომობილით გარბენა 300 ათას კილომეტრზე მეტი;

გ) III ხარისხისა — იმ შოფრების დასაჯილდოებლად, რომლებსაც აქვთ ავტომობილით გარბენა 200 ათას კილომეტრზე მეტი.

3. დამტკიცდეს დებულება სამკერდე ნიშნისა — „უავარიო მუშაობისათვის“ და მისი აღწერილობა №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

4. დაევალოს საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს დაამზადოს სამკერდე ნიშნები „უავარიო მუშაობისათვის“ და ერთიანი ნიმუშის მოწმობები საქართველოს სსრ ყველა სამინისტროსა და უწყების პროფესიონალური შოფრების დასაჯილდოებლად, შემდეგი ტირაჟით: I ხარისხისა — 5 ათასი ცალი ,II ხარისხისა — 7 ათასი ცალი და III ხარისხისა — 8 ათასი ცალი.

5. სამკერდე ნიშნის დამზადებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას სამინისტროსა და უწყების ცენტრალური აპარატის შენახვის ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების ხარჯთაღრიცხვის ეკონომიის ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 ოქტომბერი, № 602.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფკავშირთა რეს-
პუბლიკური საბჭოს 1966 წლის 20 ოქ-
ტომბრის № 602 დადგენილებით

დებულება

„უავარიო მუშაობისათვის“ სამკერდე ნიშნის შესახებ

1. ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ შემოღებულია იმ საუკეთესო შოფერთა წასახალისებლად, რომლებსაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობისას არ ჰქონიათ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევები, შრომის დისციპლინის და მოძრაობის წესების დარღვევა.

2. ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ დაწესებულია სამი ხარისხისა:

ა) 1 ხარისხისა, რომლითაც დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებსაც გავლილი აქვთ 500 ათას კილომეტრზე მეტი;

ბ) მე-2 ხარისხისა, რომლითაც დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებსაც გავლილი აქვთ 300 ათას კილომეტრზე მეტი;

გ) მე-3 ხარისხისა, რომლითაც დაჯილდოვდებიან შოფრები, რომლებსაც გავლილი აქვთ 200 ათას კილომეტრზე მეტი.

დაჯილდოების სავალდებულო პირობას წარმოადგენს დაჯილდოებულზე მიმაგრებული ავტომობილის ჩინებული ტექნიკური მდგომარეობა, კლიენტთა მაღალკულტურული მომსახურება, სახელმწიფო გეგმის შესრულება და მძღოლის განუწყვეტელი მუშაობა ავტომეურნეობაში უკანასკნელი სამი წლის მანძილზე.

3. პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულნი ნიშანთან ერთად მიიღებენ სამინისტროს, უწყების და შესაბამისი პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის „საპატიო სიგელს“.

მეორე და მესამე ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულნი მიიღებენ ავტომეურნეობის, საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაციისა და პროფკავშირული ორგანიზაციის „საპატიო სიგელს“.

დაჯილდოებულთ მიეცემათ დაწესებული ფორმის მოწმობები.

4. ნიშნით „უავარიო მუშაობისათვის“ დაჯილდოებული პირები სარგებლობენ მათზე მიმაგრებული ავტომობილის ხაზზე გასვლისას ტექნიკური მდგომარეობის თვითკონტროლის უფლებით, ხოლო პირველი ხარისხის ნიშნით დაჯილდოებულთ ამასთან ერთად მიეცემათ დასასვენებელი სახლის უფასო საგზური.

5. ნიშნით „უავარიო მუშაობისათვის“ დაჯილდოება წარმოებს სამინისტროს, უწყების კოლეგიის და პროფკავშირის შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით.

6. შუამდგომლობას „უავარიო მუშაობისათვის“ ნიშნით დაჯილდოების შესახებ აღძრავენ ავტომეურნეობის (საწარმოს) ადმინისტრაცია და პროფკავშირული ორგანიზაცია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. ნიშნების, საპატიო სიგელებისა და დაჯილდოების მოწმობების გადაცემას აწარმოებენ ავტომეურნეობის კოლექტივის საერთო კრებაზე სამინისტროს კოლეგიის და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრები.

8. დაჯილდოებულთა გვარები გამოქვეყნდება ადგილობრივ პრესაში.

9. ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ გაკეთდება მკერდის მარჯვენა მხარეს.

10. ნიშანი არ შეიძლება გადაეცეს სხვა პირს და დაკარგვის შემთხვევაში მისი სამაგიერო არ გაიცემა.

11. იმ პირს, რომელიც დაჯილდოებულია ნიშნით „უავარიო მუშაობისათვის“, შეიძლება ჩამოერთვას ნიშანი მისი გამცემი ორგანიზაციის გადაწყვეტილებით იმ შემთხვევაში, თუ შოფერმა ჩაიდინა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (თავისი მიზეზით), დაარღვია შრომის დისციპლინა და ქუჩაში მოძრაობის წესები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 20 ოქტომბრის № 602
დადგენილებით

ᲐᲦᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

პირველი ხარისხის სამკერდე ნიშნისა „უავარიო მუშაობისათვის“

სამკერდე ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ მზადდება ფურცლოვანი თითბრისაგან შემდგომი სამფეროვანი მინანქრის შეღებილობით.

ნიშნის ზომა:

სიმაღლე	32 მმ.
სიგანე ზედა ფუძესთან	26 მმ.
სიგანე ქვედა ფუძესთან	21 მმ.
სისქე	1.8 მმ.

ნიშნის წინა მხარე;

ზემო ნაწილში გამოსახულია საქართველოს სსრ ალამი, რომელსაც აქვს ტრაპეციის ფორმა და შეღებილია მინანქრით წითლად და ღია ცისფრად.

ალმის ქვემოთ ჰორიზონტალურად განლაგებულია ამოზნექილი წარწერა წითელი მინანქრის ფონზე ოქროსფრად „უავარიო მუშაობისათვის“.

წარწერის ქვემოთ ნიშნის ღერძის გასწვრივ თეთრ მინანქრის ფონზე გამოსახულია ოქროსფრად მსუბუქი მანქანის წინა ფასადის სილუეტი, ხოლო მის ქვეშ ნახევარწრის სახით მოთავსებულია მოოქრული ციფრი 500.000.

ნიშნის ქვემო ნაწილში მინანქრის თეთრ ფონზე ამოზნექილია რომაული ციფრი 1, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიშანი პირველი ხარისხისაა.

ნიშნის უკანა მხარე:

თითბრის გლუვ ზედაპირზე დასმულია პერსონალური ნომერი, ხოლო შუა ნაწილის ცოტა ზემოთ მოთავსებულია ქინძისთავი ნიშნის დასამაგრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 20 ოქტომბრის № 602
დადგენილებით

ᲐᲚᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მეორე ხარისხის სამკერდე ნიშნისა „უავარიო მუშაობისათვის“

სამკერდე ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ მზადდება ფურცლოვანი თითბრისაგან შემდგომი სამფეროვანი მინანქრის შეღებილობით.

ნიშნის ზომა:

სიმაღლე	32 მმ.
სიგანე ზედა ფუძესთან	26 მმ.
სიგანე ქვედა ფუძესთან	21 მმ.
სისქე	1.8 მმ.

ნიშნის წინა მხარე;

ზემო ნაწილში გამოსახულია საქართველოს სსრ ალამი, რომელსაც აქვს ტრაპეციის ფორმა და შეღებილია მინანქრით წითლად და ღია ცისფრად.

ალმის ქვემოთ ჰორიზონტალურად განლაგებულია ამოზნექილი წარწერა წითელი მინანქრის ფონზე ოქროსფრად „უავარიო მუშაობისათვის“.

წარწერის ქვემოთ ნიშნის ღერძის გასწვრივ თეთრ მინანქრის ფონზე გამოსახულია ოქროსფრად მსუბუქი მანქანის წინა ფასადის სილუეტი, ხოლო მის ქვეშ ნახევარწრის სახით მოთავსებულია მოოქრული ციფრი 300.000.

ნიშნის ქვემო ნაწილში მინანქრის თეთრ ფონზე ამოზნექილია რომაული ციფრი III, რაც იმას ნიშნავს, რომ ნიშანი მეორე ხარისხისაა.

ნიშნის უკანა მხარე:

თითბრის გლუვ ზედაპირზე დასმულია პერსონალური ნომერი, ხოლო შუა ნაწილის ცოტა ზემოთ მოთავსებულია ქინძისთავი ნიშნის დასამაგრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 5

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 20 ოქტომბრის № 602
დადგენილებით

ᲐᲚᲬᲔᲠᲘᲚᲝᲑᲐ

მესამე ხარისხის სამკერდე ნიშნისა „უავარიო მუშაობისათვის“

სამკერდე ნიშანი „უავარიო მუშაობისათვის“ მზადდება ფურცლოვანი თითბრისაგან შემდგომი სამფეროვანი მინანქრის შეღებილობით.

ნიშნის ზომა:

სიმაღლე	32 მმ.
სიგანე ზედა ფუძესთან	26 მმ.
სიგანე ქვედა ფუძესთან	21 მმ.
სისქე	1.8 მმ.

ნიშნის წინა მხარე;

ზემო ნაწილში გამოსახულია საქართველოს სსრ ალამი, რომელსაც აქვს ტრაპეციის ფორმა და შეღებილია მინანქრით წითლად და ღია ცისფრად.

ალმის ქვემოთ ჰორიზონტალურად განლაგებულია ამოზნექილი წარწერა წითელი მინანქრის ფონზე ოქროსფრად „უავარიო მუშაობისათვის“.

წარწერის ქვემოთ ნიშნის ღერძის გასწვრივ თეთრ მინანქრის ფონზე გამოსახულია ოქროსფრად მსუბუქი მანქანის წინა ფასადის სილუეტი, ხოლო მის ქვეშ ნახევარწრის სახით მოთავსებულია მოოქრული ციფრი 200.000.

ნიშნის ქვემო ნაწილში მინანქრის თეთრ ფონზე ამოზნექილია რომაული ციფრი II, რაც ნიშნავს, რომ ნიშანი მესამე ხარისხისაა.

ნიშნის უკანა მხარე:

თითბრის გლუვ ზედაპირზე დასმულია პერსონალური ნომერი, ხოლო შუა ნაწილის ცოტა ზემოთ მოთავსებულია ქინძისთავი ნიშნის დასამაგრებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

94 საქართველოს სსრ მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება საქართველოს სსრ მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების შექმნის შესახებ.

3. დაევალოს საორგანიზაციო კომიტეტს შეიმუშაოს საზოგადოების წესდების პროექტი და განახორციელოს ღონისძიებანი საზოგადოების პირველი ყრილობის მოწვევისათვის.

4. საქართველოს სსრ მეფუტკრეთა ნებაყოფლობითი საზოგადოების პირველი ყრილობა მოწვეულ იქნას 1966 წლის ნოემბერში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი. 1966 წ. 2 სექტემბერი. № 523.

95 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, დაიშვება იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლოს წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის ანდა ბოროტმოქმედების ჩადენისათვის დაემატოს შემდეგი პუნქტები:

„72. საქმინწყლების ქუთაისის შუშის ტარის ქარხანა;

73. საქმინწყლების სურამის შუშის ტარის ქარხანა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 2 სექტემბერი, № 524

96 არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირის განაკვეთების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს და შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1968 წლის 1 იანვრიდან იმ არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების საიჯარო ქირის განაკვეთები, რომლებიც იჯარით გაიცემა, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ამ დადგენილებით დამტკიცებული საიჯარო ქირის განაკვეთები ვრცელდება იჯარით გასაცემ ყველა არასაცხოვრებელ სადგომზე, დამოუკიდებლად იმისა, თუ ვის ეკუთვნის სახლმფლობელობა.

3. არასაცხოვრებელი სადგომების მოიჯარეთა განთავისუფლება საიჯარო ქირისაგან, აგრეთვე ამ ქირის ოდენობის შემცირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებით.

4. აიკრძალოს საიჯარო ქირის იმ განაკვეთების რაიმე დამატებითი წანამატების გადახდევინება, რომლებიც დამტკიცებულია ამ დადგენილებით; ამის გარდა, მოიჯარეები მონაწილეობას იღებენ მმართველობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მთელი სახლმფლობელობისათვის საერთო ხარჯებში, აგრეთვე აანაზღაურებენ ცენტრალური გათბობისა და კომუნალური მომსახურების ხარჯებს იმ შემთხვევებში, როდესაც ისინი ამით სარგებლობენ სახლმმართველობის მეშვეობით.

5. განთავისუფლებულ იქნან სახლის მმართველობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის საერთო ხარჯებში მონაწილეობისაგან საქართველოს სსრ მხატვართა კავშირის წევრები და წევრობის კანდიდატები — იმ არასაცხოვრებელი სადგომების მოიჯარეები, რომლებიც გამოყენებულია შემოქმედებით სახელოსნოებად, აგრეთვე საქართველოს სსრ სამხატვრო ფონდის ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით ხდება ამ სადგომების აღება იჯარით.

6. განთავისუფლებულ იქნან გადაყვანის სპეციალურ საშუალებათა (ხელით სამართავი ავტომობილები, მოტოციკლები, ველოციკლები) მქონე ინვალიდები იმ არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირისაგან, რომლებსაც ისი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი გარაჟებად იყენებენ, აგრეთვე სახლის მმართველობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის საერთო ხარჯებში მონაწილეობისაგან.

7. დაწესდეს, რომ იჯარით აღებული არასაცხოვრებელი სადგომების მიმდინარე რემონტი, აგრეთვე მათი რემონტი, როდესაც იგი გამოწვეულია მოიჯარის საქმიანობასთან დაკავშირებული კონსტრუქციული გადაკეთებით, წარმოებს უკანასკნელის ხარჯზე.

იჯარით აღებული სადგომის კაპიტალური რემონტი, როდესაც წარმოებს შენობის საერთო კაპიტალური რემონტი, ხორციელდება იჯარით მიმცემის ხარჯზე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 19 სექტემბრის № 2444 დადგენილების შესაბამისად, მოიჯარე სავაჭრო ორგანიზაციას უფლება აქვს აწარმოოს იჯარით აღებული სადგომის კაპიტალური რემონტი თავისი სახსრებით საიჯარო ქირის 50 პროცენტის ფარგლებში.

8. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა გაძლიერდეს კონტროლი საიჯარო ქირის განაკვეთების სწორად გამოყენებისადმი და სახლის მმართველობის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის მთელი სახლმმართველობისათვის საერთო ხარჯებში მოიჯარეთა მონაწილეობის ოდენობის განსაზღვრისადმი, იჯარით გასაცემი არასაცხოვრებელი სადგომების სრული აღრიცხვისადმი, აგრეთვე იმისადმი, რომ დროზე და ხელახლა დაიდოს ხელშეკრულებანი მოიჯარეებთან.

9. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, ყველა სამინისტროსა და უწყებას 1968 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტების და შემოსავალ-გასავლის ბალანსის შედგენისას გაითვალისწინონ ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი არასაცხოვრებელი სადგომების საიჯარო ქირაში.

10. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1932 წლის 23 მაისის დადგენილება „იმ სადგომების საფასურის ანაზღაურების შესახებ, რომლებიც დაკავებულია მუნიციპალიზებულ სახლმფლობელობებში კანცელარიებად და არასავაჭრო და არასამრეწველო ხასიათის საჭიროებისათვის“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 1 ოქტომბრის № 924 დადგენილება „იმ შენობებისა და სადგომების ქირის შესახებ, რომლებიც იჯარით გაიცემა სავაჭრო-სამრეწველო და სასაწყობო მიზნებისათვის;“

ეროვნული ბიბლიოთეკა

— პუნქტი 2 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 9 იანვრის № 19 დადგენილებისა „იმ სადგომების ქირის დაწესების შესახებ, რომლებიც ბინტვრებსა და მოქანდაკეებს უკავიათ შემოქმედებით სახელოსნოებად“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 3 სექტემბერი, № 529.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 3 სექტემბრის № 529
დადგენილების დანართი

გ ა ნ ა კ ვ ე თ ი ბ ი

საიჯარო ქირისა არასაცხოვრებელი სადგომებისათვის

(მანეთობით და კაპიკობით ერთი კვადრ. მეტრი ფართობისათვის წელიწადში)

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
I. ქ. თბილისში						
1. საეკრო	11—00	5—50	7—20	3—60	8—50	4—20
2. სამრეწველო (საწარმოო)	5—20	2—60	3—80	1—90	4—80	2—30
3. სასაწყობო	4—00	2—10	2—50	1—00	3—00	1—40
4. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს (კომბინატებს), ამ საწარმოების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად	3—80	1—70	2—80	1—30	3—40	1—50
5. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ გარაჟებისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს	3—00	1—50	3—00	1—50	3—00	1—50
6. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომობილების გარაჟებად	2—00	2—00	2—00	2—00	2—00	2—00
II. რესპუბლიკური, ასსრ და საოლქო დაქვემდებარების ქალაქებში						
1. საეკრო	9—50	4—80	6—30	3—00	8—20	4—10
2. სამრეწველო (საწარმოო)	5—00	2—30	3—70	1—70	4—50	2—10
3. სასაწყობო	3—20	1—60	2—20	0—80	2—30	1—30

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
4. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს (კომბინატებს), ამ საწარმოების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად	2—30	1—00	1—70	0—70	2—00	1—00
5. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ გარაჟებისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს	2—80	1—40	2—80	1—40	2—80	1—40
6. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომობილების გარაჟებად	1—80	1—80	1—80	1—80	1—80	1—80
III. რაიონული დაქვემდებარების ქალაქებში						
1. საავტო	7—40	3—70	5—00	2—30	6—30	3—10
2. სამრეწველო (საწარმოო)	4—30	1—80	3—00	1—40	3—90	1—70
3. სასაწყობო	2—70	1—20	1—70	0—60	1—90	0—80
4. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს (კომბინატებს), ამ საწარმოების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად	1—56	0—66	1—08	0—48	1—44	0—60
5. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ გარაჟებისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს	2—20	1—10	2—20	1—10	2—20	1—10
6. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომობილების გარაჟებად	1—40	1—40	1—40	1—40	1—40	1—40
IV. მუშათა და საკურორტო დაბებში						
1. საავტო	6—00	3—00	4—00	2—00	5 00	2—50
2. სამრეწველო (საწარმოო)	3—80	1—80	2—60	1—20	3—50	1—60
3. სასაწყობო	2—20	1—10	1—40	0—60	1—60	0—60

ეროვნული ბიბლიოთეკა

არასაცხოვრებელი სადგომებისა და შენობების სახეობანი	ქვიტკირის შენობებში		ხის შენობებში		შერეულ შენობებში	
	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი	ძირითადი ფართობი	დამხმარე ფართობი
4. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს (კომბინატებს), ამ საწარმოების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად	1—20	0—48	0—72	0—36	1—02	0—42
5. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ გარაჟებისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს	2—00	1—00	2—00	1-00	2—00	1—00
6. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომობილების გარაჟებად	1—20	1—20	1—20	1—20	1—20	1—20
V. სხვა დასახლებულ პუნქტებში						
1. საავტო	5—40	2—70	3-60	1—80	4—50	2—20
2. სამრეწველო (საწარმოო)	3—40	1—60	2—30	1-10	3—20	1—40
3. სასაწყობო	2—0	1—00	1—30	0—50	1-40	0—50
4. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს (კომბინატებს), ამ საწარმოების უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად	1—20	0—48	0—72	0—36	1—02	0-42
5. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ გარაჟებისათვის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერაციულ ორგანიზაციებს	2-00	1-00	2—00	1—00	2-00	1-00
6. სადგომები, რომლებიც იჯარით ეძლევათ ინდივიდუალურ მფლობელთ ავტომობილების გარაჟებად	1—00	1-00	1—00	1—00	1-00	1—00

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნები:

1. როდესაც სადგომები სრულფასოვანი არ არის, დამტკიცებული განაკვეთებიდან (განაყოფები I-V) დაწესდება ფასდაკლება შემდეგი ოდენობით: სადგომებისათვის, რომელბიც გაცემულია სავაჭრო და სამრეწველო (საწარმოო) მიზნებით, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის:

სარდაფებში — 25%

ნახევარსარდაფებში — 10%

წყალსადენ-საკანალიზაციო ქსელიან ქალაქებში: იმ სადგომებისათვის, რომლებიც გაიცემა სავაჭრო და სამრეწველო (საწარმოო) მიზნებისათვის, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურებისათვის ისეთ შენობებში, რომლებსაც წყალსადენი და კანალიზაცია არა აქვთ — 10 პროცენტი;

იმ სადგომებისათვის, რომლებსაც წყალსადენი არა აქვთ და გაცემულია სასაწყობო მიზნებისათვის, სახელოსნოებად, გარაჟებად და თავლებად—5 პროცენტი.

თუ იჯარით აღებული სადგომის მიმართ (სარდაფი, ნახევარსარდაფი, უწყალსადენო და უკანალიზაციო) არსებობს რამდენიმე საფუძველი ფასდაკლებისათვის, ფასდაკლების პროცენტები, რაც დაწესებულია არასრულფასოვნობის თვითეული არსებული სახისათვის, ერთად შეჯამდება.

2. არასაცხოვრებელი სადგომების ძირითადი და დამხმარე ფართობი განისაზღვრება საინვენტარიზაციო ბიუროს დოკუმენტებით, ხოლო, როდესაც ასეთი დოკუმენტები არ არსებობს, — სადგომების ტიპისა და დანიშნულების შესაბამისად.

დამხმარე სადგომებს მიეკუთვნება: ვესტიბიულები, კიბის უჯრედები, დერეფნები, საპირფარეშოები, საგარდერობოები, საქვაბეები და საშხაპოები, აგრეთვე მაღაზიების სასარდაფო სადგომები, რომლებიც არ არიან გამოყენებული სავაჭრო დარბაზად.

სასაწყობო სადგომებისათვის დაწესებული განაკვეთებით ანაზღაურდება ის ფართობი, რომელიც ტექნიკური დოკუმენტაციის მიხედვით განკუთვნილია საწყობად და გამოყენებულია ამ მიზნებისათვის.

3. თუ მოჯარე იყენებს სადგომს არა იმ დანიშნულების მიხედვით, რაც დაწესებულია ხელშეკრულებით, საიჯარო ქირა გადახდება სადგომის ტიპის შესაბამისი განაკვეთების ან იმ განაკვეთების მიხედვით, რომელიც შეესაბამება სადგომის გამოყენების ხასიათს, იმისდა მიხედვით, თუ რომელი განაკვეთია უფრო მაღალი.

ანტრესოლები არასაცხოვრებელ სადგომებში ანაზღაურდება მათი გამოყენების ხასიათის მიხედვით.

4. იმ სადგომების საიჯარო ქირა, რომლებიც რესტორნებს უკავიათ, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ფართობისათვის გადახდებათ (იმ ფასდაკლების შეფარდებით, რაც დაწესებულია შენიშვნით 1):

სადგომებისათვის, რომლებიც გამოყენებულია სავაჭრო დარბაზად — სავაჭრო სადგომებისათვის დაწესებული განაკვეთებით; სადგომებისათვის, რომლებიც გამოყენებულია საჭმლის მოსამზადებლად (სამზარეულო, ასაქნელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საამქროები) — სამრეწველო (საწარმოო) მიზნებისათვის დაწესებული განაკვეთებით; საწყობად განკუთვნილი და გამოყენებული სადგომებისათვის — სასაწყობო სადგომებისათვის დაწესებული განაკვეთებით.

აღნიშნული განაკვეთებით ანაზღაურდება საიჯარო ქირა იმ შემთხვევებშიაც, როდესაც რესტორნები დღისით იყენებენ სადგომებს სასადილოებად.

5. იმ სადგომების საიჯარო ქირა, რომლებიც აფთიაქებს უკავიათ, როგორც ძირითადი, ისე დამხმარე ფართობისათვის, გადახდება (იმ ფასდაკლების შეფარდებით, რაც დაწესებულია შენიშვნით 1):

სავაჭრო დარბაზისათვის — სავაჭრო სადგომებისათვის დაწესებული განაკვეთებით; წამლის მოსამზადებელი და დასაფასოებელი სადგომებისათვის — სამრეწველო (საწარმოო) მიზნებისათვის დაწესებული განაკვეთებით; საწყობად განკუთვნილი და გამოყენებული სადგომებისათვის — სასაწყობო სადგომებისათვის დაწესებული განაკვეთებით.

6. I—V განაყოფების 4 პუნქტით დაწესებული განაკვეთებით ანაზღაურდება არასაცხოვრებელი სადგომები, რომლებიც აღებული აქვთ იჯარით მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების საწარმოებს (მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატები, ტანსაცმლისა და ფეხსაცმლის შესაკერი ატელიეები, ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, ავეჯის, საათების, ფოტოაპარატურისა და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა საგნების სარემონტო სახელოსნოები, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საამქროები რაიონულ (საქალაქო) კომბინატებთან, ტანსაცმლის ქიმიური წმენდის ფაბრიკები, საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების გამქირავებელი პუნქტები, ფოტოგრაფიები, ბინების რემონტისა და დასუფთავების, ბავშვთა და ავადმყოფთა მოვლის ბიუროები, ავტომობილების, მოტოციკლებისა და სხვა სახის პირადი ტრანსპორტის ფასიანი გასაჩერებლები, აბანოები, სამრეცხაოები, საპარიკმახეროები, ლომბარდები და საყოფაცხოვრებო და კომუნალური მომსახურების სხვა საწარმოები მიუხედავად იმისა, თუ ვის ექვემდებარებიან ისინი).

ამავე განაკვეთებით ანაზღაურდება ის სადგომები, რომლებიც იჯარით აქვთ აღებული ქალაქის საცნობარო ბიუროებს, სასტუმროებს, აგრეთვე დაკრძალვის მომსახურების დაწესებულებებსა და საწარმოებს.

VI. სადგომები (ძირითადი და დამხმარე), რომლებიც ქირავდება სასადილოებისა, ფაბრიკა-სამზარეულოებისა, სამზადი საწარმოებისა და ნახევარფაბრიკატების საამქროებისათვის, სასაუზმეებისა, საჩაიეებისა, კაფეებისა, ბუფეტებისა, საოჯახო და რძის პროდუქტების სამზარეულოებისათვის, კულინარული ნაწარმისა და ნახევარფაბრიკატების გასაყიდი მაღაზიებისათვის:

ა) ქ. თბილისში	1—00
ბ) სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში	0—76

შენიშვნა:

1. სასადილოები, რომლებიც საღამოობით იყენებენ სადგომებს მთლიანად და ნაწილობრივ რესტორნებად, საიჯარო ქირას იხდიან აღნიშნული განაკვეთების მიხედვით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. აღნიშნული განაკვეთებით გადახდებათ საიჯარო ქირა აგრეთვე ფარდულებისათვის, ბუფეტებისათვის, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, საზოგადოებრივი კვების საწარმოების ჯიხურებისათვის და ა. შ., რომლებიც იმყოფებიან სანახაობითი და სავაჭრო საწარმოების სადგომების შიგნით და საზოგადოებრივი კვების საწარმოს ფარდულებისა, პავილიონებისა, ბუფეტებისა, ჯიხურებისა და ა. შ., რომლებიც მდებარეობენ პარკებში, ქუჩებში და ა. შ., იმ შემთხვევებში, როდესაც მათი სადგომები მიცემული აქვთ სანახაობითს და სავაჭრო საწარმოებს ან მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებს.

	ქალაქ ნიბილისში	სხვა ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში
VII. სადგომები, რომლებიც გაცემულია იჯარით კანცელარიებად და არასავაჭრო და არასამრეწველო ხასიათის სხვა საჭიროებისათვის:		
იმ საბიუჯეტო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მიერ, რომლებიც არ იღებენ შემოსავალს თავიანთი საქმიანობისაგან (ძირითადი და დამხმარე ფართობი)	1—00	0—76
იმ ორგანიზაციების მიერ, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, სპეციალურ სახსრებსა და ანარიცხებზე, აგრეთვე კოოპერაციული ორგანიზაციების მიერ:		
ძირითადი ფართობი	4—50	3—00
დამხმარე ფართობი	2—25	1—50

შენიშვნები:

1. აღნიშნული განაკვეთები გადახდება როგორც ცალკეული სადგომების, ისე მთელი შენობის იჯარით აღების დროს.

2. დამხმარე ფართობს მიეკუთვნება: ვესტიბიულები, კიბის უჯრედები, დერეფნები, საპირფარეშოები, საგარდერობოები, საქვაბეები და საშხაპოები.

3. როდესაც სადგომები სრულფასოვანი არ არის, აღნიშნული განაკვეთებისაგან დაწესდება შემდეგი ფასდაკლება:

სარდაფებში არსებული სადგომებისათვის — 25%.

ნახევარსარდაფებში არსებული სადგომებისათვის — 10 %.

4. ამ განაყოფით დაწესებული საიჯარო ქირის განაკვეთები გამოიყენება მხოლოდ იმ ფართობისათვის, რომელიც დაკავებულია 3,5 კვ. მეტრის ფარგლებში თვითეულ ფაქტიურად მომუშავე თანამშრომელზე.

სადგომების ნორმები სამსახურებრივი მეცადინეობისათვის სამხედრო უწყების შტაბებში, სამმართველოებსა და კანცელარიებში განისაზღვრება შემდეგი ანგარიშით: 4,6 კვ. მეტრი თვითეულ ფაქტიურად მომუშავე თანამშრომელზე.

სარგებლობის დაწესებული ნორმების გადამეტებით ზედმეტი ფართობი ანაზღაურდება საიჯარო ქირის შესაბამისი განაკვეთის ერთნახევარი ოდენო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით, თუ ეს ზედმეტი ფართობი შეიძლება გამოიყოს ტექნიკური პირობების მიხედვით.

ინვალიდთა ორგანიზაციებისათვის, სასწავლებლებისათვის, კულტურულ-საგანმანათლებლო და სამკურნალო დაწესებულებებისათვის, აგრეთვე იმ სადგომებისათვის, რომლებიც უკავიათ სპეციალური დანიშნულების დაწესებულებებს, — იმ ფართობის სარგებლობის ნორმებს, რომელიც ანაზღაურებულ უნდა იქნას ერთმაგი ოდენობით, განსაზღვრავს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტრო.

5. იმ სადგომებისათვის, რომლებიც გაქირავებულია ქ. თბილისის კულტურისა და დასვენების პარკებში საგამოფენო პავილიონებად, საიჯარო ქირა გადახდება წელიწადში 5 მანეთის ოდენობით ფართობის ერთ კვადრატულ მეტრში, ხოლო ღია მოედნებისა — ექსპონირებისათვის — 3 მანეთი ერთ კვადრატულ მეტრში წელიწადში.

VIII. სადგომები (ძირითადი და დამხმარე), რომლებიც გაცემულია იჯარით მხატვართა და მოქანდაკეთა შემოქმედებითი სახელოსნოებისათვის — 2 მან. და 50 კაპიკი.

IX. თეატრების მიერ იჯარით აღებული სადგომები — 1 მან. და 50 კაპ.

X. სადგომები, რომლებიც გამოყენებულია კარტოფილისა და ხილ-ბოსტნეულის ხანგრძლივ შესანახად განკუთვნილ ბოსტნეულსაცავებად:

პაკჰაუზის ტიპის რკინიგზისპირა საწყობებისა და სანავსადგურო საწყობებისათვის	0-16
საწყობებისათვის ქალაქებში, გარდა სანავსადგურო და რკინიგზისპირა საწყობებისა	0—13
სხვა საწყობებისათვის	0—11

შენიშვნა:

სასაწყობო სადგომები, რომლებიც უკავია გადამუშავებულ ხილ-ბოსტნეულს (მჟავე კიტრი, დამწნილებული კომბოსტო, მჟავე პომიდორი და სხვ.), ანაზღაურდება ამ დანართის I-VII განაყოფებში აღნიშნული განაკვეთების მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჟიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

97 სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასებისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების მომზადებისათვის მუშაობის ძირითად მიმართულებათა და ორგანიზაციის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს № 680 დადგენილების შესასრულებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 აგვისტოს № 680 დადგენილება „სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების მომზადებისათვის მუშაობის ძირითად მიმართულებათა და ორგანიზაციის შესახებ“ დაეგზავნოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პროექტები და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფები, დანართის თანახმად.

იმ პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პროექტებთან და ტარიფებთან ერთად, რომლის საბითუმო ფასები მტკიცდება რესპუბლიკაში, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურა იმ საშუალო ფასების დასადგენად, რომლებიც გამოიყენება ამონაგებისა და დანახარჯების ცვლილებათა გამოანგარიშებაში, ახალი ფასების შემოღებასთან დაკავშირებით;

ბ) საშუალო საბითუმო ფასები (მოქმედი და შემოსაღები) პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით;

გ) ამონაგებისა და პროდუქციის წარმოების დანახარჯების ცვლილებათა გაანგარიშება და ფასების გათვალისწინებული შეცვლის დასაბუთება, იმ მოცულობითა და ფორმების მიხედვით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ.

ამ გაანგარიშებათა ასლები წარედგინება საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ახალი პრეისკურანტების პროექტების მომზადების დროს:

ა) გადასინჯონ გამოშვებული პროდუქციის ნომენკლატურა, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა პრეისკურანტებიდან გამოირიცხოს ტექნიკურად მოძველებული ნაკეთობანი, რომლებიც მოხსნილია ან უნდა მოიხსნას წარმოებიდან უახლოეს დროში, აგრეთვე შეიტანონ პრეისკურანტებში წარმოების მიერ ათვისებული ახალი, პროგრესული ნაკეთობანი;

ბ) გადასინჯონ იმ პროდუქციის მოძველებული ტექნიკური პირობები, რომელიც არ უპასუხებს თანამედროვე ტექნიკურ დონეს, აგრეთვე უზრუნველყონ იმ პროდუქციის მუდმივი ტექნიკური პირობების დამტკიცება, რომელიც შეიტანება პრეისკურანტების პროექტში და რომლის გამოშვება ამჟამად ხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელდება დროებითი ტექნიკური პირობების მიხედვით; შეიტანონ, დამკვეთთა თანხმობით, ტექნიკურ პირობებში ობიექტური მონაცემები პროდუქციის ხარისხის, საიმედოობისა და ხანგამძლეობის შესახებ;

გ) უზრუნველყონ იმ ნორმატივების შემოწმება, რომლებიც გამოიყენება საწარმოებში პროდუქციის თვითღირებულების გამოანგარიშებაში, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა შეტანილ იქნას შესწორებანი მოძველებულ ნორმატივებში, რომლებიც არ ახდენენ წარმოების მობილიზებას მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიურად გამოყენებისათვის;

დ) ახალი საბითუმო ფასების პროექტების მომზადება შეუხამონ იმ პროდუქციის ცალკეულ სახეობათა თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შემუშავებას, რომელიც მკვეთრად ამაღლებს საშუალო დარგობრივ თვითღირებულების დონეს, რომლის ბაზაზე წესდება ფასები (პროდუქციის წარმოების კონცენტრაცია იმ საწარმოებში, რომელთაც აქვთ დანახარჯების გაცილებით უფრო ნაკლები დონე; პროდუქციის წარმოებაში კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ გაუმჯობესებათა შეტანა; ქარხანათშორისი კოოპერაციის მოწესრიგება, დახმარების გაწევა საწარმოებისათვის სათანადო ტექნიკური აღჭურვის შექმნასა და სხვა ღონისძიებებში).

4. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს:

ა) დაუგზავნოს სამინისტროებს ახალი საბითუმო ფასების მომზადების სახელმძღვანელოდ რენტაბელობის დარგობრივი ნორმები, საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების პროცენტული გამოანგარიშებით;

ბ) განიხილოს და დაამტკიცოს დანართში ჩამოთვლილი ახალი საბითუმო ფასები და ტარიფები და დაუგზავნოს ფასების პრეისკურანტები და ტარიფების ცნობარები სათანადო ორგანიზაციებს არა უგვიანეს 1967 წლის 1 აპრილისა;

გ) მისცეს მითითება საქართველოს სსრ სამინისტროებს და უწყებებს იმ პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების მომზადების შესახებ, რომელიც არ არის გათვალისწინებული დანართით.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებსა და უწყებებს გამომუშავებული სამრეწველო პროდუქციის მთელი ნომენკლატურის მიხედვით:

ა) 1967 წლის 1 მარტამდე შეათანხმონ სამინისტროებთან, უწყებებთან და პროდუქციის მომხმარებელ ორგანიზაციებთან პროდუქციის მიწოდების მოცულობა ნატურალური გამოხატულებით 1967 წლის მეორე ნახევრისათვის, შეთანხმებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოსთან, იმ ნომენკლატურის მიხედვით, რაც გათვალისწინებულია განაწილების გეგმებით;

ბ) წარუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1967 წლის 1 აპრილისათვის მომხმარებლებთან შეთანხმებული გაანგარიშებანი ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით პროდუქციის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების შეცვლის და ამასთან დაკავშირებული გაიაფება-გაძვირების შესახებ, მომხმარებელთა მიხედვით;

ბ) 1967 წლის 1 მაისისათვის — სახალხო მეურნეობის გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და 1967 წლის მეორე ნახევრის შემოსავალ-გასავლის ბალანსების მაჩვენებელთა ცვლილების გაანგარიშება.

6. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ შეამოწმონ საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებათა მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებანი, უზრუნველყონ მათი ურთიერთშეთანხმება და შეადგინონ სახალხო მეურნეობაში ამონაგებისა და დანახარჯების ცვლილებათა შეჯამებული ბალანსი ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით, და 1967 წლის 15 ივნისისათვის წარმოუდგინონ განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

7. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს, რომელმაც ყოველთვიურად მოახსენოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ახალი ფასებისა და ტარიფების მომზადების მსვლელობა.

* *
*

ითვალისწინებს რა ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების მომზადების შესახებ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილების განხორციელების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ავალებს საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს უზრუნველყონ სამრეწველო პროდუქციის საბითუმო ფასებისა და ტარიფების გადასინჯვის მუშაობის სათანადო ორგანიზაცია, ამასთან ამ საქმეში ჩააბან როგორც ცენტრალური აპარატის, ისე ქვესაუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების, აგრეთვე სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების საუკეთესო ეკონომიური და ინჟინერთა კადრები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 12 სექტემბერი, № 545.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 12 სექტემბრის № 545
დადგენილების დანართი

დ ა ვ ა ლ ე ბ ა

სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტის პროექტებისა და საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ტარიფების შედგენისა და მათი წარდგენისა საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
	1. მძიმე მრეწველობა			
01—05—06	სამრეწველო დანიშნულების ლითონის ნაკეთობანი (ადგილობრივი მრეწველობის საწარმოებისა)	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ოქტომბერი	1967 წლის 1 ივლისი
03—02—06	ტორფი და ტორფმინერალური სასუქები	კომბინატი „საქქვანახშირი"	წარმოდგენილია	"
05—01—06	ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა ქიმიური პროდუქცია	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ოქტომბერი	"
05—04—06	ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა ლაქსაღებავების მასალები	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ოქტომბერი	"
05—08—06	ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა რეზინის ტექნიკური დეტალები და ნაკეთობანი	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ოქტომბერი	"

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
06-03-06	ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოთა რულონის სახურავი მასალები	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 10 ნოემბერი	1967 წლის 1 ივლისი
06-11-06	სამშენებლო კერამიკის ნაკეთობანი	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 1 ნოემბერი	»
06-12-06	თალკი, ასფალტი, მარმარილო და არალითონმადნეულის მრეწველობის სხვა სახეობის პროდუქცია	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ნოემბერი	»
06-13-06	აგური, კირი, კრამიტი, სამშენებლო თაბაშირი და სხვა ადგილობრივი საშენი მასალები	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 25 ნოემბერი	»
06-14-06	ბეტონი, ხსხარები, ბეტონის დეტალები და სხვა სამშენებლო ნაკეთობანი	მშენებლობის სამინისტრო	1966 წლის 10 ოქტომბერი	»
06-15-06	თბოსაიზოლაციო მასალები	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 10 ოქტომბერი	»
06-16-06	ადგილობრივი მრეწველობის საწარმოთა ძირითადი დამხმარე საყალიბო მასალები	საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 25 სექტემბერი	»
07-01-06	მერქნის ნიხრი, რომელიც არაა გათვალისწინებული № 07-01 პრეისკურანტით	სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი	1966 წლის 10 ოქტომბერი	»
07-27-06	სამშენებლო დეტალები და ხის კონსტრუქციები	მშენებლობის სამინისტრო	1966 წლის 20 ოქტომბერი	»
07-28-06	საქმიანი მერქანი, რომელიც არაა გათვალისწინებული № 07-02 პრეისკურანტით, და ფრანკო ტყესაკეთი შეშა	ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 1 ნოემბერი	»
97-29-06	შეშა და ხე-ტყის პროდუქცია, რომელიც არაა გათვალისწინებული № 07-03 პრეისკურანტით	ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 1 ნოემბერი	»

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
13—01—06	საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვის ტარიფები	საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო	1966 წლის 15 ოქტომბერი	1967 წლის 1 ივლისი
29—10—06	ადგილობრივი და რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოთა მანქანათმშენებლობის პროდუქცია	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრი	1966 წლის 1 დეკემბერი	»
	2. კვების მრეწველობა			
30—02—06	მაკარონის ნაწარმი	კვების მრეწველობის სამინისტრო	წარმოდგენილია	1967 წლის 1 იანვარი
33—01—06	ადგილობრივი წყალსატევების ცოცხალი თევზი და რესპუბლიკური ნომენკლატურის თევზის სხვა ნაწარმი (ნახევარფაბრიკატები)	ტრესტი „საქთევზმრეწვი“	1966 წლის 10 ოქტომბერი	»
33—15—06	რესპუბლიკის „ხორცთევზვაჭრობის“ გადამმუშავებელი საწარმოთა თევზი და თევზსაქონელი	ფასების კომიტეტი, ტრესტ „საქთევზმრეწვის“ და ვაჭრობის სამინისტროს მონაწილეობით	1966 წლის 10 ოქტომბერი	»
34—03—06	საკონდიტრო ნაწარმი	კვების მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 5 ოქტომბერი	»
34—05—06	წვენი „მაიონეზი“	ფასების კომიტეტი, „თბილცხიმკომბინატის“ მონაწილეობით	წარმოდგენილია	»
34—08—06	საპარფიუმერიო-კოსმეტიკური საქონელი	ფასების კომიტეტი, თბილისის საპარფიუმერიო ფაბრიკის მონაწილეობით	1966 წლის 1 ნოემბერი	»
34—12—06	ლუდი, უალკოჰოლო სასმელები და მინერალური წყლები	კვების მრეწველობის სამინისტრო	წარმოდგენილია	»
34—13—06	საკვები კონცენტრატები (მშრალი კისელი, სანელებელი)	ფასების კომიტეტი, კვების მრეწველობის სამინისტროს და „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მონაწილეობით	1966 წლის 15 ოქტომბერი	»

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
34—14—06	ხილ-კენკრის წვენი, ექსტრატები, შიგთავსი, მისახარში და სულფიტირებული ხილი და კენკრი	„საქმთავარკონსერვხილბოსტანი"	1966 წლის 15 ოქტომბერი	1967 წლის 1 იანვარი
34—16—06	სახამებელ-ბადაგის პროდუქცია	ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 5 ოქტომბერი	»
34—18—06	ღვინის ქვისმჟავა და თხელი საკვები ნახშირმჟავა	კვების მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 20 სექტემბერი	»
	3. მსუბუქი მრეწველობა			
35—10—06	საპროტეზო-ორთოპედიული ნაკეთობანი	ფასების კომიტეტი, სოცუზრუნველყოფის სამინისტროს მონაწილეობით	1966 წლის 15 ოქტომბერი	1967 წლის 1 ივლისი
44—12—06	ტყავის, ტყავის შემცვლელის და ქსოვილის საგალანტერიო ნაწარმი	ფასების კომიტეტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	1966 წლის 1 ოქტომბერი	1967 წლის 1 იანვარი
48—02—06	საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი	ფასების კომიტეტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	წარმოდგენილია	1966 წლის 1 ოქტომბერი
48—03—06	ტექნიკური საფეიქრო-საგალანტერიო ნაწარმი	ფასების კომიტეტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	წარმოდგენილია	1966 წლის 1 ოქტომბერი
48—04—06	ელასტიკური ზონარი სამრეწველო გამოყენებისათვის	ფასების კომიტეტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	წარმოდგენილია	1966 წლის 1 ოქტომბერი
49—02—06	ქეჩა და ქეჩის ნაწარმი	ფასების კომიტეტი, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	წარმოდგენილია	1966 წლის 1 ოქტომბერი
51—03—06	მინის ჭურჭლეული	კვების მრეწველობის სამინისტრო	1967 წლის 20 იანვარი	1968 წლის 1 იანვარი
51—04—06	სარკე	ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1967 წლის 1 თებერვალი	»
51—05—06	მინანქარისა და ქაშანურის ნაკეთობანი	საშენი მასალების მრეწველობის სამინისტრო	1967 წლის 10 თებერვალი	»

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
51—06—06	ლითონის ჭურჭლეული	ფასების კომიტეტი, „თბილგაზაპარატის“ ქარხნის მონაწილეობით	1966 წლის 15 ნოემბერი	1966 წლის 1 იანვარი
51—07—06	საცობი ნაკეთობანი	ფასების კომიტეტი, „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“, თბილისის პლასტმასის ქარხნის, კვების მრეწველობის სამინისტროს და უსინათლოთა საზოგადოების მონაწილეობით	1966 წლის 1 ნოემბერი	1967 წლის 1 ივლისი
56-01—06	სპეციალური ავეჯი არასაბაზრო მოხმარებისათვის	ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1966 წლის 15 ნოემბერი	•
56—02—06	ლითონის ფურნიტურა, კალაპოტი, ჭუსლები და სხვა ნაკეთობანი	ფასების კომიტეტი, ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხის დამმუშავებელი მრეწველობის სამინისტროს მონაწილეობით	1966 წლის 1 ნოემბერი	1967 წლის 1 ივლისი
56—04—06	ლითონის საწოლები	ფასების კომიტეტი, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაწილეობით	1966 წლის 15 ნოემბერი	1968 წლის 1 იანვარი
58—01—06	კაუჩუკის, რეზინისა და ლითონის ბეჭდები, კაუჩუკისა და რეზინის შტამპები	ფასების კომიტეტი, ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის მონაწილეობით	1966 წლის 1 ნოემბერი	1967 წლის 1 ივლისი
58—03—06	მუსიკალური ინსტრუმენტები	ფასების კომიტეტი, თბილისის მხატვრულ ნაკეთობათა და სუვენირების ფაბრიკის მონაწილეობით	1966 წლის 15 ოქტომბერი	1968 წლის 1 იანვარი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრეისკურანტების ნომერი	პრეისკურანტების დასახელება	საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების შემმუშავებელი სამინისტროების (უწყებათა) დასახელება	საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების კომიტეტისათვის პრეისკურანტების წარდგენის ვადები	ძალაში შესვლის ვადები
59—01—06	ფეხსაცმლის კრემი	ფასების კომიტეტი, ქიმიური მრეწველობის სამმართველოს მონაწილეობით	1966 წლის 1 ნოემბერი	1967 წლის 1 ივლისი
59—03—06	ლაქები, საღებავები და საყოფაცხოვრებო ქიმიის ფართო მოხმარების საქონელი წვრილად დაფასოებული	ქიმიური მრეწველობის სამმართველო	წარმოდგენილია	1967 წლის 1 ივლისი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო
დადგენილება № 681

1966 წლის 23 აგვისტო

მოსკოვი, კრემლი

სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების მომზადებისათვის მუშაობის ძირითად მიმართულებათა და ორგანიზაციის შესახებ

იმ მიზნით, რომ მოწესრიგდეს საბითუმო ფასები სამრეწველო წარმოების დაგეგმვისა და ეკონომიური სტიმულირების ახალი სისტემის მოთხოვნების შესაბამისად, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საჭიროდ იქნას მიჩნეული, რომ შემუშავდეს და ძალაში შევიდეს 1967 წლის 1 ივლისიდან სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასები და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ:

ა) პროდუქციის წარმოების დარგობრივი დანახარჯების (თვითღირებულების) რაც შეიძლება უფრო სრული და ზუსტი აღრიცხვა, მრეწველობის ცალკეული დარგების არსებული ზარალიანობის, აგრეთვე ელექტროენერგიის შეღავათიანი (თვითღირებულებაზე დაბალი) გაცემის აღმოფხვრა, მოპოვებითი მრეწველობის დარგების მიერ გეოლოგიურ-დაზვერვითს სამუშაოებზე გაწეული დანახარჯების უფრო ზუსტად ასახვა (გარდა გეოლოგიური მეცნიერების განვითარების და რეგიონალური სამუშაოების ხარჯებისა);

ბ) პროდუქციის რენტაბელობის დარგობრივი დონის ეკონომიურად დასაბუთებული განსაზღვრა, რაც საჭირო პირობებს ქმნის მრეწველობის თვითეულ დარგში სრული სამეურნეო ანგარიშისათვის, ამასთან მხედველობაში უნდა იქნას მიღებული დანახარჯების ანაზღაურება და მოგების მიღება ყოველ ნორმალურად მომუშავე საწარმოში, როგორც მინიმუმი, იმ ოდენობით, რაც აუცილებელია საწარმოო ფონდების ანაზღაურებისა და საწარმოსათვის დადგენილი ფონდების შესაქმნელად; იმ ურთიერთშემცვლელი პროდუქციის ფასების დონის შეთანხმება, რომელსაც აწარმოებენ მრეწველობის სხვადასხვა დარგები (ქვანახშირი, ნავთობის სათბობი და ბუნებრივი გაზი; სხვადასხვა სახეობის გაზი; სხვადასხვა სახეობის ნედლეული, რომელიც გამოიყენება ერთგვაროვანი ქიმიური პროდუქციის დასამზადებლად; ერთგვაროვანი ქიმიური პროდუქცია, რომელსაც ამზადებენ ძირითადი ქიმიური მრეწველობის, კოქსქიმიური და ნავთობქიმიური მრეწველობის საწარმოები და ა. შ.);

გ) მრეწველობის ყველა დარგის პროდუქციის ხარისხის ყოველმხრივ გაუმჯობესების სტიმულირება, მისი საიმედოობისა და ხანგამძლეობის ამაღლება,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანალოგიური და ურთიერთშემცვლელი სახეობის პროდუქციის გამოყენების შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობის აღრიცხვა, რათა დამატებითი ეკონომიის ხარჯზე, რომელიც შეიქმნება სახალხო მეურნეობაში პროგრესულ, მაღალხარისხოვან ნაკეთობათა გამოყენების შედეგად, უზრუნველყოფილ იქნას დამამზადებელ საწარმოთა დამატებითი ხარჯების ანაზღაურება და გაზრდილი რენტაბელობის მიღწევა ადრე გამოშვებული პროდუქციის რენტაბელობასთან შედარებით.

სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების დაწესებამ არ უნდა გამოიწვიოს საცალო ფასების გადიდება, აუნაზღაურებელი დანაკარგების შექმნა კოლმეურნეობებში, აგრეთვე დანაკლისი სახელმწიფო ბიუჯეტში.

2. მიღებულ იქნას სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტისა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს წინადადებანი მრეწველობის ცალკეულ დარგების პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების მომზადების შესახებ, იმ აუცილებლობის გათვალისწინებით, რომ:

ა) გადიდდეს ქვანახშირის მოქმედი საბითუმო ფასები დაახლოებით 75 პროცენტით, მათ შორის ენერგეტიკული ნახშირისა—დაახლოებით 65 პროცენტით;

უზრუნველყოფილ იქნას მეტი დამოკიდებულება მომხმარებელთათვის მიწოდებულ ქვანახშირის ფასებსა და მის ხარისხს შორის; საბითუმო ფასების დაწესება იმ მცირენაცრიან ქვანახშირზე, რომელიც არ მოითხოვს გამდიდრებას და გამოიყენება დაკოქსვისათვის, შესაბამისი მარკების კონცენტრატების ფასების დონეზე (ერთნაირი ხარისხის დროს);

ბ) ნავთობის სათბობისა და ბუნებრივი გაზის ზოლობრივი საბითუმო ფასების მოწესრიგება მრეწველობაში (რეალიზაციის საბოლოო ფასები) ენერგეტიკული ნახშირის საბითუმო ფასების ახალი დონის შესაბამისად; დიზელის სათბობის, ბენზინის, ნავთობის ზეთისა და საპოხის ხარისხის ამაღლების სტიმულირება.

ნავთობპროდუქტებისა და ბუნებრივი გაზის ბრუნვის გადასახადის გადანაწილების ხარჯზე ამაღლდეს დონე საწარმოების საბითუმო ფასებისა დაუმუშავებელ ნავთსა და ბუნებრივ გაზზე ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრული სამეურნეო ანგარიშის განხორციელების შესაძლებლობა ნავთობ და გაზის მომპოვებელი თვითეული სარეწაო სამმართველოსათვის, რომელთაც გააჩნიათ მოცემული რაიონისათვის წარმოების საშუალო ტექნიკური დონე და მოპოვების მასშტაბები, მაგრამ თავიანთ საქმიანობას ეწევიან საშუალო, ბუნებრივ პირობებთან შედარებით ნაკლებად ხელსაყრელ პირობებში. იმ სარეწაო სამმართველოებისათვის, რომლებიც მუშაობენ უფრო ხელსაყრელ ბუნებრივ პირობებში, შემოღებულ იქნას ფიქსირებული გადასახდელები ბიუჯეტში.

ნავთობპროდუქტების თანმხლები გაზის, ხელოვნური გაზის, საკოქსე გაზის, საბრძმედე გაზისა და ბუნებრივი გაზის ფასების ეკონომიურად დასაბუთებული ურთიერთშეფარდების უზრუნველყოფა;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ელექტროენერგიის ზოლობრივი ტარიფების დაწესება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას ცალკეული რაიონების მიხედვით სახალხო მეურნეობის ელექტრომომარაგებაში შეცვლილი პირობები, ერთიანი ენერგეტიკული სისტემის შექმნა, აგრეთვე ხუთწლედში შექმნილი სათბობი ბალანსი თბოელექტროსადგურებისათვის და მათ მიერ გამოყენებული სხვადასხვა სახეობის სათბობის ახალი ფასები;

სახალხო მეურნეობისათვის მიწოდებული ელექტრო და სათბობი ენერგიის ტარიფების გადიდება საშუალოდ 25 პროცენტით;

მომხმარებელთა მიხედვით არსებული ტარიფების მეტისმეტი დიფერენციაციის აღმოფხვრა და მიწოდებული ელექტროენერგიისათვის ანგარიშსწორების გამარტივება.

ელექტროენერგიის უფრო რაციონალურად მოხმარების და, კერძოდ, ენერგოსისტემების მინიმალური დატვირთვის პერიოდში მისი უფრო სრულად გამოყენების სტიმულირება;

დ) შავი ლითონების მადნეულის ზოლობრივი საბითუმო ფასების დაწესება, მათი შედარებითი მეტალურგიული ღირსების გათვალისწინებით, მაგრამ ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნას სრული სამეურნეო ანგარიშის განხორციელების შესაძლებლობა სამადნო სამმართველოებისათვის (რკინამადნეულის გამამდიდრებელი კომბინატებისათვის), რომელთაც მეტალურგიული მრეწველობის მოცემული ზონისათვის საშუალო ტექნიკური დონე და მოპოვების მასშტაბები აქვთ;

ე) კოქსის ფასის დაწესება კოქსვადი ქვანახშირის ფასების ახალი დონის გათვალისწინებით, აგრეთვე კოქსქიმიური წარმოების თანანაწარმი პროდუქტების უფრო რაციონალურად გამოყენების შესაძლებლობათა გათვალისწინებით;

ვ) შავი ლითონების ნაგლინის საბითუმო ფასების გადიდება (მადნისა და კოქსის ახალი ფასდების გათვალისწინებით) დაახლოებით 35-40 პროცენტით;

პროგრესული, ეკონომიური პროფილების მქონე ნაგლინის წარმოების, აგრეთვე დეფიციტური მალეგირებელი კომპონენტების შემცვლელი ხარისხოვანი ფოლადების ეკონომიური გამოყენების სტიმულირება;

ლითონების ძირითად მომხმარებელთა ინდივიდუალური მოთხოვნილების შესაბამისად, ლითონპროდუქციის გამოშვებით მეტალურგიული ქარხნების მატერიალური დაინტერესების გაძლიერება იმ ანგარიშით, რომ ნაწილი ეკონომიისა, რომელსაც მიიღებენ მომხმარებლები ნარჩენების შემცირებისაგან ლითონების დამუშავების დროს, დარჩეს მიმწოდებელს გადიდებული რენტაბელობის სახით.

შავი და ფერადი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის დამზადების არსებული ფასების აწევა იმ მიზნით, რომ სტიმული მიეცეს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის საწარმოს შეაგროვოს ლითონნარჩენები და ჯართი და ჩააბაროს ისინი სათანადოდ დახარისხებული სახით;

შავი ლითონების ნარჩენებისა და ჯართის საბითუმო ფასების მოწესრიგება თხევადი თუჯის თვითღირებულების ახალი დონის შესაბამისად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ფერადი მეტალურგიის სამთამადნო საწარმოების სრული სამეურნეო ანგარიშისათვის პირობების შექმნა; ფერადი და შავი ლითონების ურთიერთშემცვლელ სახეობათა ნაგლინის ფასების შეთანხმება იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს დეფიციტური ფერადი ლითონების ყოველმხრივი ეკონომია; ტყვიისა და თუთიის ფასების არსებული თანაფარდობის გადასინჯვა და ამ ლითონების ფასის დაწესება მათი წარმოების ნამდვილი ხარჯების შესაბამისად, აგრეთვე სახალხო მეურნეობაში მათი გამოყენების შეცვლილი პირობების გათვალისწინებით;

თ) ძირითადი ქიმიის პროდუქციისა და სამთოქიმიური ნედლეულის ცალკეულ სახეობათა საბითუმო ფასების აწევა იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას მათი წარმოების ზარალიანობა, შემცირდეს პლასტიკური მასების, სინთეტიკური ბოჭკოს და ორგანული ქიმიის პროდუქციის ფასები ნავთობქიმიური ნედლეულის წარმოების და ფართო გამოყენების გაზრდილი მასშტაბების გათვალისწინებით; სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის, ლითონებისა და სხვა პროდუქტების ქიმიური მრეწველობის წარმოების ხელოვნური და სინთეტიკური მასალებით ეკონომიურად დასაბუთებული შეცვლის სტიმულირება.

ურთიერთშემცვლელი ან ურთიერთშემვსები ქიმიური პროდუქტების ფასების დაწესება, მათი წარმოების ხარჯებისა და მომხმარებელთათვის შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობის გათვალისწინებით;

ი) მანქანებისა და მოწყობილობათა საბითუმო ფასების მოწესრიგება მრეწველობის თანამედროვე ტექნიკური დონის შესაბამისად; მანქანათმშენებლობის ანალოგიურ და ურთიერთშემცვლელ ნაკეთობათა ფასების ურთიერთშეფარდების დადგენა, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მათს წარმოებაზე გაწეული ხარჯები, წარმოების ეკონომიურად დასაბუთებული კოოპერაცია და სპეციალიზაცია და მათი გამოყენების შედეგად მიღებული შედარებითი ეკონომიური ეფექტიანობა;

მანქანათმშენებლობის პროდუქციის ფასების ცალკეულ პრეისკურანტებში ფასდანამატთა სკალების შეტანა იმ ტექნიკური გაუმჯობესებებისათვის, რასაც ადგილი აქვს წარმოების მსვლელობაში, იმ შემთხვევებში, როცა ეს გაუმჯობესებანი დამატებით ეკონომიას აძლევს მომხმარებლებს;

მანქანათმშენებლობის პროდუქციის ისეთი ფასების სისტემის უფრო ფართოდ გამოყენება, რომელიც ითვალისწინებს ფასების თანდათანობით შემცირებას ნაკეთობათა ტექნიკური მოძველების კვალობაზე.

მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოების მიერ დამზადებული სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასებთან ერთად, როგორც წესი, საბითუმო ფასების დაწესება ისე, რომ მომავალში ამ საქონლის რეალიზაციის ბრუნვის გადასახადის აღება ხდებოდეს როგორც სხვაობა საცალო ფასებსა და საბითუმო ფასებს შორის სავაჭრო ფასდაკლების გამოქვითვით;

კ) მრგვალი ხე-ტყის ფასების გადიდება იმის გათვალისწინებით, რომ უზრუნველყოფილი იქნას ნორმალურად მომუშავე ხე-ტყის დამამზადებელი საწარმოების რენტაბელობა, ამასთან მხედველობაში იქნას მიღებული ძირზეგასა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცემი მერქნის საჯირკე გადასახადის ახალი გადიდებული განაკვეთების შემოღება;

ხე-ტყის პროდუქციის ფასების ზოლობრივი დიფერენციაციის გადასინჯვა ხე-ტყის დამზადების განლაგებაში მომხდარ ცვლილებათა გათვალისწინებით, დამზადების ადგილებში მერქნის კომპლექსური გადამუშავების და მერქნის რაციონალური ტვირთნაკადის სტიმულირება;

დახერხილი ხე-ტყის და ქაღალდის ფასების გადიდება, ამასთან გათვალისწინებულ იქნას მრგვალი ხე-ტყის ფასების გადიდება და დახერხილი ხე-ტყის და ცელულოზა-ქაღალდის მრეწველობის ცალკეულ სახეობათა პროდუქციის წარმოების ზარალიანობის აღმოფხვრა;

დახერხილი ხე-ტყისა და მისგან ნამზადის ფასების სწორი ურთიერთ შეხამების უზრუნველყოფა;

ლ) მრეწველობის საწარმოების მიერ მეორადი ლითონის შეგროვებისა და სათანადოდ დამუშავებული და დახარისხებული სახით მათი ჩაბარების სტიმულირება.

3. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს დაუგზავნოს სამინისტროებსა და უწყებებს ახალი საბითუმო ფასების მომზადების სახელმძღვანელოდ რენტაბელობის დარგობრივი ნორმები, საწარმოო ფონდების საშუალო წლიური ღირებულების პროცენტული გამოანგარიშებით.

4. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს მრეწველობის ცალკეული დარგების პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პროექტები და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფები, № 1*) დანართის თანახმად.

ახალი საბითუმო ფასების პროექტებთან და ტარიფებთან ერთად სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა წარმოადგინონ:

ა) პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურა იმ საშუალო ფასების დასადგენად, რომლებიც გამოიყენება ამონაგებისა და ხარჯების ცვლილებათა გამოსაანგარიშებლად ახალი ფასების შემოღებასთან დაკავშირებით (სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებით, იმ პროდუქციაზე, რომელიც გათვალისწინებულია განაწილების გეგმებით);

ბ) საშუალო საბითუმო ფასები (მოქმედი და შემოსაღები) პროდუქციის გამსხვილებული ნომენკლატურის მიხედვით;

გ) ამონაგებისა და პროდუქციის წარმოების ხარჯების ცვლილებათა გაანგარიშებანი და ფასების გათვალისწინებული შეცვლის დასაბუთება იმ მოცულობისა და ფორმების მიხედვით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ. ამ გაანგარიშებათა ასლები წარედგინება სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

---

*) დანართები არ იბეჭდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. დაევალოთ სსრ კავშირის სამინისტროებს, უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ახალი პრეისკურანტების პროექტების მომზადების დროს:

ა) გადასინჯონ გამოსაშვები პრდოუქციის ნომენკლატურა, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა ამოღებულ იქნას პრეისკურანტებიდან ტექნიკურად მოძველებული ნაკეთობანი, რომლებიც მოხსნილია ან უნდა მოიხსნან წარმოებიდან უახლოეს ხანში, აგრეთვე შეტანილ იქნას პრეისკურანტებში წარმოების მიერ ათვისებული ახალი, პროგრესული ნაკეთობანი;

ბ) გადასინჯონ იმ პროდუქციის მოძველებული ტექნიკური პირობები, რომელიც არ უპასუხებს თანამედროვე ტექნიკურ დონეს, აგრეთვე უზრუნველყონ იმ პროდუქციის მუდმივი ტექნიკური პირობების დამტკიცება, რომლებიც შეტანილ უნდა იქნან პრეისკურანტების პროექტებში და რომელთა გამოშვება ამჟამად წარმოებს დროებითი ტექნიკური პირობების მიხედვით; შეიტანონ ტექნიკურ პირობებში, დამკვეთთა თანხმობით, ობიექტური მაჩვენებლები პროდუქციის ხარისხის, საიმედობისა და ხანგამძლეობის შესახებ;

გ) უზრუნველყონ იმ ნორმატივების შემოწმება, რომლებიც გამოიყენება საწარმოებში პროდუქციის წარმოების თვითღირებულების გამოსაანგარიშებლად, ამასთან მხედველობაში იქონიონ, რომ საჭიროა შესწორებათა შეტანა იმ მოძველებულ ნორმატივებში, რომლებიც ვერ ახდენენ საწარმოთა მობილიზებას მატერიალური და შრომითი რესურსების ეკონომიური გამოყენებისათვის;

დ) ახალი საბითუმო ფასების პროექტების შედგენა შეუხამონ იმ ცალკეული სახეობის პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ღონისძიებათა შემუშავებას საწარმოებში, რომელიც მკვეთრად ამაღლებს საშუალო დარგობრივი თვითღირებულების დონეს, რომლის ბაზაზე წესდება ფასები (პროდუქციის წარმოების კონცენტრაცია იმ საწარმოებში, რომელთაც დანახარჯების უფრო დაბალი დონე აქვთ, ტექნოლოგიური გაუმჯობესებათა შეტანა პროდუქციის წარმოებაში, ქარხანათშორისი კოოპერაციის მოწესრიგება, დახმარების გაწევა საწარმოებისათვის საჭირო ტექნიკური აღჭურვის შექმნასა და სხვა ღონისძიებებში).

6. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს № 1 დანართში ჩამოთვლილი ახალი საბითუმო ფასები და ტარიფები და დაუგზავნოს ფასების პრეისკურანტები და ფასების ცნობარები შესაბამის ორგანიზაციებს არა უგვიანეს 1967 წლის 1 აპრილისა;

ბ) მისცეს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებულ ფასების კომიტეტებს მითითებანი იმ პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების მომზადების შესახებ, რომელიც არ არის გათვალისწინებული № 1 დანართით.

7. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს დააწესონ საჭიროების შემთხვევაში საანგარიშსწორებო ფასები მრეწველობის იმ მოპოვებითი დარგების საწარმოთა პროდუქციაზე, სადაც არ არის გათვალის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინებული რენტის გადასახადთა სისტემის შემოღება, აგრეთვე დამმუშავებელი მრეწველობის დარგების იმ საწარმოთა პროდუქციაზე, რომლებიც ერთდროულად ეწევიან ნედლეულის მოპოვებას.

საანგარიშსწორებო ფასები უნდა დაწესდეს დაახლოებით ერთნაირ ბუნებრივ და სატრანსპორტო პირობების მქონე საწარმოთა ჯგუფის პროდუქციის თვითღირებულების შესაბამისად, და შემოღებულ იქნას ამ პროდუქციის ძირითადი პრეისკურანტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა:

ა) უზრუნველყოს შემუშავება და შესაბამისი სამინისტროებისათვის გაგზავნა, ხოლო ასლისა — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტისათვის — იმ პროდუქციის სატრანსპორტო ხარჯების ოდენობის გაანგარიშებისა, რომელზედაც წესდება საბითუმო ფასები ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურამდე, № 2 დანართით გათვალისწინებულ ვადების თანახმად;

ბ) შეიმუშაოს და 1966 წლის 1 დეკემბრისათვის წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ფასნამატისა და ფასჩამოკლების პროექტები ქვესაუწყებო მომმარაგებელ-გამსაღებელ ორგანიზაციებისათვის, ამასთან გაითვალისწინოს შემოსაღები ახალი საბითუმო ფასები, ტარიფები, აგრეთვე ცვლილებანი მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ორგანოების სტრუქტურაში, სათანადო გაანგარიშებებითა და ფორმებით, რომლებიც დაწესებულია სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის მიერ, და საჭირო დასაბუთებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულმა ფასების სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და დაინტერესებული ორგანიზაციების მონაწილეობით განიხილოს წარმოდგენილი პროექტები, დაამტკიცოს ახალი ფასნამატები და ფასჩამოკლებანი მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის და უზრუნველყოს მათი გაგზავნა დაინტერესებული ორგანიზაციებისათვის — არა უგვიანეს 1967 წლის 1 აპრილისა.

9. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

ა) სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად წარმოუდგინოს 1967 წლის 1 თებერვლისათვის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი ნავთობპროდუქტებისა და ელექტროენერგიის ბრუნვის გადასახადის განაკვეთების შესახებ;

ბ) დააწესოს და 1967 წლის 1 აპრილისათვის აცნობოს სათანადო ორგანიზაციებს სამრეწველო პროდუქციის სხვა სახეობათა ბრუნვის გადასახადის განაკვეთები (გარდა იმ პროდუქციისა, რომლის მიხედვით ბრუნვის გადასახადი გამოიანგარიშება როგორც სხვაობა საცალო და საბითუმო ფასებს შორის.

10. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სტანდარტების, ზომათა და საზომხელსაწყოთა კომიტეტს და სსრ კავშირის სახმშენს გადასინჯონ 1966-1967 წლებში ახალი სტანდარტების ძალაში შესვლის გეგმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისე, რომ ახალი სტანდარტების ძალაში შესვლა შეთანხმებულ იქნას ახალი ფასების მოქმედებაში შესვლის ვადებთან.

11. სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში მძიმე მრეწველობის პროდუქციის ახალ საბითუმო ფასებზე და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფებზე გადასვლა განხორციელდეს 1967 წლის 1 ივლისიდან. ამავე ვადიდან ძალაში შევიდეს ახალი ფასნამატები და ფასჩამოკლებანი მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა დაინტერესებულ სამინისტროებთან და უწყებებთან და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ახალ საბითუმო ფასებსა და ტარიფებზე დროულად გადასვლის უზრუნველყოფისათვის.

12. დაევალოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს მისცეს სსრ კავშირის უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს მითითებანი:

ა) 1967 წლის სახალხო მეურნეობის გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის და სამინისტროებისა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის ბალანსების მაჩვენებელთა ცვლილების გაანგარიშებათა წარმოდგენის წესის შესახებ, ახალი საბითუმო ფასების, ტარიფების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა შემოღებასთან დაკავშირებით;

ბ) მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციების პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების, აგრეთვე საერთო შემოსავლისა და მოგების ცვლილებების გაანგარიშებათა შედგენის წესის შესახებ, ახალი საბითუმო ფასების, ტარიფების, ფასმანამატებისა და ფასჩამოკლებათა შემოღებასთან დაკავშირებით.

13. სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა:

ა) 1967 წლის 1 აპრილამდე შეათანხმონ სსრ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან და პროდუქციის მომხმარებელ მოკავშირე რესპუბლიკებთან პროდუქციის მიწოდებათა მოცულობა ნატურალური გამოხატულებით 1967 წლის მეორე ნახევრისათვის, იმ ნომენკლატურის მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია განაწილების გეგმებით.

გზათა სამინისტრომ, საზღვაო ფლოტის სამინისტრომ, რსფსრ სამდინარო ფლოტის სამინისტრომ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკათა სამდინარო ტრანსპორტის მართვის ორგანოებმა შეუთანხმონ იმავე ვადაში სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და იმ მოკავშირე რესპუბლიკებს, რომლებიც სარგებლობენ რკინიგზის, საზღვაო და სამდინარო ტრანსპორტის მომსახურებით, ამონაგების ცვლილებათა თანხები ცალკეული ჯგუფების ტვირთის გადაზიდვის ტარიფების მოწესრიგებასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტმა ამავე ვადაში განიხილოს უთანხმოებანი სამინისტრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ებსა, უწყებებსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის, რომლებიც შეეხება იმ პროდუქციის მოცულობასა და ნომენკლატურას (პროდუქციის განაწილების წლიური გეგმების შესაბამისად), რომელიც ახალი საბითუმო ფასების შემოღებასთან დაკავშირებით მიიღება ამონაგების ცვლილებათა გაანგარიშებაში.

ბ) წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს:

1967 წლის 1 მაისისათვის — მომხმარებლებთან შეთანხმებული გაანგარიშებანი პროდუქციის რეალიზაციისაგან მიღებული ამონაგების ცვლილებისა, რაც დაკავშირებულია ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემოღებასთან, და ამასთან დაკავშირებული გაძვირება-გაიაფების განაწილება მომხმარებლების მიხედვით (სსრ კავშირის სამინისტროების, უწყებებისა და მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით).

1967 წლის 1 ივნისისათვის — 1967 წლის მეორე ნახევრის სახალხო-სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტისა და შემოსავალ-გასავლის ბალანსების მაჩვენებელთა ცვლილების გაანგარიშებანი.

14. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ შეამოწმონ სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მიერ წარმოდგენილი გაანგარიშებანი, უზრუნველყონ მათი ურთიერთშეთანხმება, შეადგინონ სახალხო მეურნეობის ამონაგებისა და დანახარჯების ცვლილებათა შეჯამებული ბალანსი ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით, ისე, რომ სახელმწიფო ბიუჯეტმა არ განიცადოს დანაკლისი, და 1967 წლის 1 ივლისისათვის შეიტანონ ცვლილებანი შესაბამისად სახალხო მეურნეობის გეგმაში, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების შემოსავალ-გასავლის ბალანსებში და ურთიერთანგარიშსწორებაში 1967 წლის საკავშირო ბიუჯეტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტებს შორის. შეტანილი ცვლილებანი მოახსენონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს.

15. დაწესდეს, რომ ახალი სახარჯთაღრიცხვო ფასები, სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასებისა და ხელფასის მოქმედი ტარიფების გათვალისწინებით, ძალაში შევა კაპიტალურ მშენებლობაში და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების წარმოებისას 1968 წლიდან.

16. დაევალოს სსრ კავშირის სახმშენს, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან ერთად, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი საფასარების, ფასდებების, პრეისკურანტების, ზედნადები და სხვა ხარჯების ნორმების, აგრეთვე მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულების გადაანგარიშების წესის შესახებ, ამასთან იქონიოს მხედველობაში, რომ საჭიროა გადაანგარიშებულ იქნას სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის ის მაჩვენებლები, რომლებიც შეეხება კაპიტალურ დაბანდებებსა და საიჯარო სამუშაოთა პროგრამებს 1968 წლისა და 1968 წლის პირველი ნახევრისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშენებლო-სამონტაჟო, საბურღი და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოების დამატებით ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია 1967 წლის 1 ივლისიდან სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების და ელექტრო და სათბობი ენერგიისა და სატვირთო გადაზიდვათა ტარიფების შემოღებასთან, აანაზღაურებენ სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საიჯარო, სამშენებლო-სამონტაჟო, გეოლოგიური, საბურღი ორგანიზაციები და მშენებლობები 1967 წლის მეორე ნახევარსა და 1968 წლის პირველ ნახევარში, იმ სპეციალურ ასიგნობათა ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ბიუჯეტით, სამუშაოთა შემსრულებელი სამინისტროებისა და უწყებებისათვის, ხოლო იმ სამუშაოების დამატებით ხარჯებს, რომლებიც ხორციელდება სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით — დაფინანსების არაცენტრალიზებული წყაროების ხარჯზე, იმავე წყაროებიდან, რომელთაგანაც ხდება ამ სამუშაოების დაფინანსება. აღნიშნული დამატებითი ხარჯები შესრულებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შეიტანება. კაპიტალურ მშენებლობათა მოწყობილობის საბითუმო ფასების ცვლილება გათვალისწინებულ უნდა იქნას კაპიტალურ დაბანდებათა დაფინანსების გეგმით და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკისა და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკის საკრედიტო გეგმებით.

დაევალოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახმშენს და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკს შეიმუშაონ და 1967 წლის 1 აპრილისათვის წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმ სახლების მშენებლობის დამატებითი ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ, რომელიც ხორციელდება საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მიერ.

დაევალოს სსრ კავშირის გეოლოგიის სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის სამშენებლო ბანკთან შეთანხმებით, ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს წინადადებანი ნორმატიული ცნობარების გადამუშავების წესის შესახებ პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების შესადგენად, სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის, ზედნადები ხარჯების და გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა გეგმის მაჩვენებლების გადაანგარიშებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიოს, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმის მაჩვენებელთა გადაანგარიშება 1968 წლის პირველი ნახევრის გეოლოგიურ-სადაზვერვო სამუშაოთა ნაწილში.

17. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა განიხილონ საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია იმ პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტების დროულად შედგენის, დამტკიცებისა და ძალაში შესვლის უზრუნველყოფასთან, რომლის ფასებს აწესებენ მოკავშირე რესპუბლიკები, და საავტომობილო ტრანსპორტით სატვირთო გადაზიდვათა ტარიფებისა და უზრუნველყონ სახალხო მეურნეობის დაგეგმვაში, აღრიცხვასა და ანგარიშგებაში ახალ ფასებსა და ტარიფებზე დროულად გადასვლა, დაამტკიცონ შესაბამისი ღონისძიებანი და სისტემატური კონტროლი დააწესონ მათი შესრულებისადმი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

18. მიენიჭოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს უფლება:

ა) მისცეს სამინისტროებს, უწყებებს, ორგანიზაციებსა და საწარმოებს მითითებანი და განმარტებანი ყველა იმ საკითხზე, რომლებიც დაკავშირებულია ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების მომზადებასთან;

ბ) დაავალოს საჭიროების შემთხვევებში სამინისტროებსა და უწყებებს ცალკეული ჯგუფის იმ სამრეწველო პროდუქციის ახალი საბითუმო ფასების პროექტების შემუშავება, რომელიც არ არის ჩამოთვლილი № 1 დანართში, აგრეთვე ფასნამატთა და ფასჩამოკლებათა პროექტები მომმარაგებელ-გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის;

გ) მიიღოს საჭიროების შემთხვევებში უშუალოდ საწარმოებისაგან, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისაგან საანგარიშო, საანგარიშსწორებო და საცნობარო მასალები, რომლებიც აუცილებელია ახალი პრეისკურანტების მომზადებისა და განხილვისათვის.

19. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც დავალებული აქვთ ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების პროექტების შემუშავება, მიიღონ სხვა სამინისტროებისა და უწყებებისაგან, რომელთა საწარმოები ამაზდებენ შესამუშავებელი პრეისკურანტების პროექტებში შესატან ანალოგიურ პროდუქციას, ფასების პროექტები ყველა დასაბუთებით, იმ ვადებში, რაც დაწესებულია იმ სამინისტროს ან უწყების საწარმოებისათვის, რომელიც პასუხისმგებელია შესაბამისი პრეისკურანტის შემუშავებისათვის.

20. უფლება მიენიჭოთ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებულ ფასების კომიტეტებს, სსრ კავშირის მინინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს და მათდამი დაქვემდებარებულ იმ ორგანიზაციებს, რომელთაც დავალებული აქვთ ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების პროექტების შემუშავება:

ა) მიიწვიონ ახალი საბითუმო ფასების, ტარიფების, ფასნამატისა და ფასჩამოკლების, სატრანსპორტო ხარჯების ოდენობის გაანგარიშებათა პროექტების შემუშავების სამუშაოებისათვის, აგრეთვე ექსპერტიზისა და კონსულტაციებისათვის სპეციალისტები სხვა ორგანიზაციებიდან (სამ თვემდე ვადით) და პენსიონერები (ექვს თვემდე ვადით), ამასთან შეუნარჩუნონ მათ საშუალო ხელფასი მუდმივ სამუშაო ადგილზე და პენსია ამ სამუშაოს პერიოდში.

აღნიშნულ სპეციალისტთა მივლინების ხარჯებს აანაზღაურებენ ის ორგანიზაციები, რომელთა განკარგულებაშიაც არიან ისინი მივლინებული, აღნიშნულ სამუშაოთა შესასრულებლად განკუთვნილი სახსრების ხარჯზე.

ბ) აწარმოონ იმ მუშაკთა (მივლინებულთა ჩათვლით) შრომის ანაზღაურება აკორდულად, რომლებიც ასრულებენ ახალი საბითუმო ფასების, ტარიფების ფასნამატების, ფასჩამოკლებათა, სატრანსპორტო ხარჯების ოდენობის გაანგარი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შებათა შემუშავების დავალებას, იმ შემთხვევაში, თუ ამ სამუშაოების შესრულება შეუძლებელია სამუშაო დროის ფარგლებში დაწესებულ ვადებში.

21. ნება დაერთოთ სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამინისტროებსა და უწყებებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ახალი საბითუმო ფასების, პრეისკურანტების, ტარიფების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა შემუშავება და სხვა დავალებანი, გასწიონ ამასთან დაკავშირებული ხარჯები სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტთან შეთანხმებული თანხის ოდენობით, (ხოლო მოკავშირე რესპუბლიკების მიხედვით — მოკავშირე რესპუბლიკათა ფინანსთა სამინისტროებთან და მოკავშირე რესპუბლიკათა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტებთან არსებულ ფასების კომიტეტებთან შეთანხმებით), — საწარმოებისა და ორგანიზაციების იმ ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, რომელიც უნდა გადაირიცხოს ბიუჯეტში და მოხმარდეს საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის დროებითი საფინანსო დახმარების გასაწევად შექმნილ ფონდს, ან ხარჯების ეკონომიის ანგარიშში.

იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნული წყაროები არასაკმაოა ან არ მოიპოვება, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გამოჰყონ საჭირო თანხები შესაბამისი ბიუჯეტის ასიგნობათა ხარჯზე.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტებისა და ტარიფების ცნობარების შემუშავებასთან, ექსპერტიზასთან და გამოცემა-დაგზავნასთან, გაღებულ იქნას საკავშირო ბიუჯეტის ანგარიშში.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, აღნიშნული მიზნებისათვის გაღებული ხარჯების შესაბამისად, შეიტანოს ცვლილებანი არასაშტატო (არასიობრივი) მუშაკთა შემადგენლობის ხელფასის ფონდის 1966 წლის გეგმაში.

22. იმ მიზნით, რომ დროულად შესრულდეს 1967 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის მაჩვენებელთა გადაანგარიშება ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების შემოღებასთან დაკავშირებით:

ა) მიენიჭოთ უფლება საწარმოებს, გაერთიანებებსა და ორგანიზაციებს საჭირო შემთხვევებში მიიწვიონ 1967 წლის გეგმის მაჩვენებელთა გადაანგარიშების სამუშაოების შესასრულებლად კვალიფიციური სპეციალისტები (ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობის გადამეტებით), ამასთან მისცენ მათ ხელფასი დაწესებული ხელფასის საერთო ფონდის ხარჯზე, აგრეთვე აწარმოონ იმ მუშაკთა შრომის ანაზღაურება აკორდულად, რომლებიც ასრულებენ გეგმის გადაანგარიშების სამუშაოებს, იმ შემთხვევაში, თუ ამ სამუშაოს შესრულება შეუძლებელია დაწესებული სამუშაო დროის ფარგლებში;

ბ) გამოეყოს 1966–1967 წლებისათვის სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტს ხელფა-

სის ფონდი 30 ათასი მანეთის ოდენობით თვითეულს, იმ არასაშტატო (არასიობ-რივი) მუშაკთა შემადგენლობისათვის, რომლებიც მოწვეული არიან 1967 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის, სახელმწიფო ბიუჯეტის, სამინისტროებისა და უწყებების შემოსავალ-გასავლის ბალანსების გადაანგარიშების სამუშაოთა შესასრულებლად, აგრეთვე იმ სამუშაოების შესასრულებლად, რომლებიც დაკავშირებულია საბითუმო ფასების, ტარიფების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა გადასინჯვასთან ამ დადგენილების შესაბამისად.

23. დაევალოთ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან შეთანხმებით შეიმუშაონ და დაუგზავნონ სსრ კავშირის სამინისტროებს და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მითითებანი 1967 წელს და 1967 წლის მეორე ნახევარში ანგარიშგების წარმოდგენის წესის თაობაზე — საერთო პროდუქციის გამოშვებისა და იმ ახალი სახეობის პროდუქციის წარმოების შესახებ, რომელიც იგეგმება და აღირიცხება ფულადი გამოხატულებით, საწარმოთა საბითუმო ფასებში 1955 წლის 1 ივლისისათვის და ახალ ფასებში, აგრეთვე სასაქონლო პროდუქციის გამოშვების, სასაქონლო პროდუქციის თვითღირებულების და სამრეწველო საწარმოთა მოგების შესახებ, გამსაღებელი ორგანიზაციების მიერ საბითუმო საქონელბრუნვის და მოგების გეგმის შესრულების შესახებ — ამჟამად მოქმედ და ახალ ფასებში.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს 1967 წლისათვის სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსათვის ანგარიშგების (ორი ფასის მიხედვით) შედგენის სამუშაოთა შესასრულებლად არასაშტატო (არასიობრივი) მუშაკთა შემადგენლობის თვიური ხელფასის ფონდი 7 ათასი მანეთის ოდენობით და, ამის გარდა, 20 ათასი მანეთი სამანქანო-საანგარიშო სადგურების მუშაობის ასანაზღაურებლად.

24. ნება დაერთოს სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაითვალისწინონ 1966 წლის წლიურ ანგარიშში საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ მატერიალური რესურსების მიმართულებათა მიხედვით გამოყენების მონაცემების მიღება (სამრეწველო-საწარმოო საჭიროებისათვის, კაპიტალური მშენებლობისათვის, საბინაო-კომუნალური მეურნეობისათვის და ა. შ.).

25. სსრ კავშირის გზათა სამინისტრომ, სამოქალაქო ავიაციის სამინისტრომ, კავშირგაბმულობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა უზრუნველყონ რკინიგზის, საავტომობილო და საჰაერო ტრანსპორტით, აგრეთვე ფოსტით საბითუმო ფასების ახალი პრეისკურანტების, ტარიფების, ცნობარების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა რიგსგარეშე გაგზავნა სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწიფო კომიტეტის და იმ სხვა ორგანიზაციების დაკვეთებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მათი გამოცემისა და დაგზავნისათვის.

26. დაევალოს საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბული ფასების სახელმწიფო კომიტეტის, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების დაკვეთით, უზრუნველყოს ახალი საბითუმო ფასების პრეისკურანტების, ტარიფების ცნობარების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა დროულად დაბეჭდვა.

27. გამოეყოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს 1966 წელს 500 ტონა სასტამბო ქაღალდი ახალი საბითუმო ფასების, პრეისკურანტების, ტარიფების, ცნობარების, ფასნამატებისა და ფასჩამოკლებათა გამოსაცემად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რეზერვის ხარჯზე.

28. დაევალოს სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს შეისყიდოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტისათვის 1966 წელს კონვერსია-ქმნილი თავისუფალი ვალუტის ხარჯზე საკოპიო-სამრავლებელი მოწყობილობა (სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებული ფასების სახელმწფო კომიტეტის განაცხადის შესაბამისად) 7 ათასი მანეთის უცხო ვალიუტით, იმ ასიგნობათა ხარჯზე, რაც გათვალისწინებულია საქონლის ექსპორტისა და იმპორტის 1966 წლის გეგმის „სხვადასხვა საქონლის“ მუხლით.

29. ამ დადგენილების შესრულების კონტროლი დაეკისროს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების სახელმწიფო კომიტეტს, რომელსაც დაევალოს მოახსენოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ახალი ფასებისა და ტარიფების მომზადების მსვლელობა. პირველი მოხსენება წარმოადგინოს 1966 წლის 1 ნოემბრისათვის.

* * *

ითვალისწინებს რა ახალი საბითუმო ფასებისა და ტარიფების მომზადების დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების ყურადღებას მიაქცევს ამ სამუშაოთა ჯეროვნად მოწყობის უზრუნველყოფის აუცილებლობას, რისთვისაც მიიზიდონ ცენტრალური აპარატის, სამეცნიერო-საკვლევი და საპროექტო ორგანიზაციების და საწარმოთა საუკეთესო ეკონომიური და ინჟინერთა კადრები.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ა. კოსიგინი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **მ. სმირტიუკოვი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

98 საქართველოს სს რესპუბლიკაში სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების გამოყენების პრაქტიკის შესახებ

აღინიშნოს, რომ „წარმოებაში მუშაობით პენსიონერთა მატერიალური დაინტერესების გაძლიერების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების გამოყენების სისწორის შემოწმების შედეგად გამოვლინებულია ფაქტები, როდესაც საქართველოს სსრ ზოგიერთი უწყება, დაწესებულება და ორგანიზაცია არასწორად განმარტავს და იყენებს აღნიშნულ დადგენილებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების სწორად გამოყენების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ სამინისტროების, უწყებების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს შრომისუნარიან პენსიონერთა სამუშაოდ მოწვევის საკითხის გადაწყვეტისას მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ზემოაღნიშნული დადგენილებით და მოხუცებულობის პენსიაზე გასულ შრომისუნარიან პენსიონერთა სამუშაოზე მიღების ნამდვილი საწარმოო აუცილებლობის საკითხი გადაწყვიტონ ყოველ ცალკე შემთხვევაში პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო ან ადგილობრივ კომიტეტთან შეთანხმებით.

ამასთან გაითვალისწინონ, რომ ქ. თბილისში, ქუთაისში, ბათუმსა და სოხუმში საჭიროება არ მოითხოვს პენსიონერთა გამოყენებას სამუშაოზე მასწავლებელთა, ექიმთა და ბიბლიოთეკართა რიცხვიდან, ხოლო რესპუბლიკური დაქვემდებარების სხვა ქალაქებში — მასწავლებელთა რიცხვიდან.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს მუდმივი კონტროლი გაუწიონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 თებერვლის № 175 დადგენილების სწორად გამოყენებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 14 სექტემბერი, № 549.

ეროვნული ბიბლიოთეკა

99 „მოქალაქეთა კუთვნილი იმ შენობების ღირებულების ანაზღაურების წესის შესახებ, რომლებიც აღებულ უნდა იქნან ქალაქებში, ქალაქის ტიპის დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 2 ივლისის № 436 დადგენილების გამოყენებასთან დაკავშირებულ ზოგიერთი საკითხის თაობაზე

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 აგვისტოს № 651 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ იმ შემთხვევებში, როცა მოქალაქენი სურვილს გამოთქვამენ მიიღონ ბინები თავიანთი პირადი საკუთრების შენობების ნაცვლად, რომლებიც სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით აღებულ უნდა იქნან, ამ მოქალაქეებსა და მათი ოჯახის წევრებს უნდა მიეცეთ ბინები მხოლოდ სახელმწიფო საბინაო ფონდის კეთილმოწყობილ სახლებში. ამასთან, მისაცემი ბინის საცხოვრებელი ფართობი თითო სულზე არ უნდა იყოს იმ საცხოვრებელი ფართობის ნორმებზე ნაკლები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 309 მუხლით.

იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქენი, რომელთაც ასაღები სახლის კომპენსაცია მიიღეს, სურვილს გამოთქვამენ შევიდნენ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივში, მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი უზრუნველყოფს მოცემულ ადგილზე დასაარსებელ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივის წევრად ამ მოქალაქეთა რიგგარეშე შესვლის შესაძლებლობას და საცხოვრებელი ფართობის მიღებას ამ კოოპერატივში.

2. მოქალაქეებს, რომელთაც ეკუთვნით პირადი საკუთრების ასაღები შენობები და ნაგებობანი (სახლი, სარაია და სხვ.), შეუძლიათ თავიანთი შეხედულების მიხედვით გამოიყენონ ამ შენობა-ნაგებობათა დაშლისაგან მიღებული მასალები (ასაღებ შენობა-ნაგებობათა ღირებულების ანაზღაურების ან სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის შენობებში ბინების მიღების მიუხედავად).

3. დაწესდეს, რომ იმ ქალაქებში, სადაც მიწის ნაკვეთების გამოყოფა არ არის აკრძალული, მოქალაქეთა სურვილისამებრ, მათი კუთვნილი საცხოვრებელი სახლები და ნაგებობანი, რომლებიც აღებულ უნდა იქნან სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით, შეიძლება გადატანილ და აღდგენილ იქნას ახალ ადგილას (მოცემულ ადგილის ფარგლებში, დაწესებული ნორმებით გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე) იმ ორგანიზაციის სახსრების ხარჯზე, რომელსაც გამოეყოფა მიწის ნაკვეთი. საბინაო-სამშენებლო კოოპერატივისათვის მიწის ნაკვეთის გამოყოფის დროს, აღნიშნულ შენობა-ნაგებობათა გადატანისა და აღდგენის ხარჯებს აანაზღაურებს მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, ხოლო საქართველოს სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 16 მარტის № 159 დადგენილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში, — საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები.

სახლებისა და ნაგებობების გადატანის შესაძლებლობას, მათი ტექნიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში, განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების რაიონული (საქალაქო, სადაბო) საბჭოს აღმასკომი დაინტერესებულ ორგანიზაციათა მონაწილეობით.

შესაბამის ორგანიზაციებთან შეთანხმებით, სახლის (ნაგებობის) აღდგენის დროს შეიძლება შესრულდეს მისი რემონტის დამატებითი სამუშაოები სახლის (ნაგებობის) მფლობელის ხარჯზე.

4. დაწესდეს, რომ მოქალაქეთა პირადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების აღება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფასთან დაკავშირებით, შეიძლება დაშვებულ იქნას ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მხოლოდ შესაბამისად — აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის, თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომების ნებართვით, ხოლო ყველა დანარჩენ ქალაქში, დაბასა და დასახლებულ პუნქტში — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით.

5. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა არ დაუშვან საცხოვრებელი სახლების დაუსაბუთებელი აღება ახალი მშენებლობის განხორციელების დროს.

საქართველოს სსრ სახმშენმა მკაცრი კონტროლი დააწესოს ამ დადგენილების მე-5 პუნქტში მითითებული მოთხოვნის დაცვისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 8 ოქტომბერი, № 569.

ეროვნული ბიბლიოთეკა

100 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 12 თებერვლის № 78 დადგენილების მე-2 პუნქტი შეიცვალოს ნაწილობრივ და ნება დაერთოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობებს და სხვა დაწესებულებებს და ორგანიზაციებს, მიიღონ საექსპლუატაციოდ მშენებლობადამთავრებული საწარმოო დანიშნულების ობიექტები, სახარჯთაღრიცხვო ღირებულებით 0,2 მილიონ მანეთამდე, გარდა უნიკალური და განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტებისა, რომელთა მიღებას აწარმოებენ სახელმწიფო კომისიები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 20 ოქტომბერი, № 603.

101 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 ივლისის № 430 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

„ხმელი დაფნის ფოთლის შესასყიდი ფასის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 19 ივლისის № 430 დადგენილების 1 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს 1966 წლის 20 ოქტომბრიდან კეთილშობილი დაფნის იმ ხმელი ფოთლის შესასყიდი ფასი, რომლის შესყიდვა წარმოებს საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და მოსახლეობისაგან — 5 მანეთი კილოგრამი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ბ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წლის 20 ოქტომბერი, № 605.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს განკარგულებები

102 განკარგულება № 1248-გ

1966 წლის 30 აგვისტო

დამტკიცდეს ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში მდებარე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პროფესიული სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფებისათვის დასაცავად გადაცემის წესი, რომელიც საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრომ წარმოადგინა, შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 ივლისის № 443 დადგენილებისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახანძრო დაცვის ორგანიზაციის გაუმჯობესების შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 30 აგვისტოს № 1248
განკარგულებით

წ ე ს ი

ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში მდებარე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პროფესიული სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფებისათვის დასაცავად გადაცემისა

1. ქალაქებში, მუშათა დაბებსა და სოფელ ადგილებში მდებარე საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პროფესიული სახანძრო დაცვის ქვეგანაყოფებისათვის დასაცავად გადაცემას აწარმოებენ საუწყებათაშორისო კომისიები, რომლებიც შეიქმნება თვითეულ საწარმოში, ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, სადაც მოიპოვება სახანძრო ქვეგანაყოფები (სახანძრო მუშაკთა ჯგუფები).

საუწყებათაშორისო კომისიების შემადგენლობაში სავალდებულო წევრებად უნდა შედიოდნენ სახანძრო ქვეგანაყოფის (სახანძრო მუშაკთა ჯგუფის) გადამცემი შესაბამისი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების წარმომად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენლები და ის პირები, რომლებსაც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოების მიერ მინდობილი აქვთ ამ ქვეგანაყოფის (ჯგუფის) მიღება.

საუწყებათაშორისო კომისიის აქტი შეთანხმებულ უნდა იქნას სახანძრო ქვეგანაყოფის (სახანძრო მუშაკთა ჯგუფის) გადამცემი საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ხელმძღვანელთან და ავტონომიური რესპუბლიკების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროსთან, საოლქო აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოსთან, რომელიც ღებულობს სახანძრო ქვეგანაყოფს (სახანძრო მუშაკთა ჯგუფს), რის შემდეგ შეუთანხმდება ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, საოლქო აღმასკომის, საქალაქო აღმასკომის და რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ან მოადგილეს და გაეგზავნება დაქვემდებარების მიხედვით გადამცემ და მიმღებ ორგანიზაციებს შრომის გეგმებსა და დაფინანსების გეგმებში შესაბამისი ცვლილებების შესატანად.

2. საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტრო 1966 წლის 15 ოქტომბრამდე წარუდგენს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს განზოგადებულ მასალებს საქართველოს სს რესპუბლიკის მიხედვით საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს საქალაქო (ქალაქის ტიპის დაბების და რაიონული ცენტრების) პროფესიული სახანძრო დაცვისათვის გადასაცემი უწყებრივი სახანძრო დაცვის მუშაკთა რაოდენობისა და ამ დაცვის შესანახად დაწესებული სახსრების შესახებ.

3. 1966 წელს სახანძრო დაცვის შესანახ ასიგნობებს, რომლებიც გათვალისწინებულია შესაბამისი კვარტალის გეგმებითა და ხარჯთაღრიცხვებით, გადაურიცხავენ საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის სამმართველოს, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში — აფხაზეთის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში — სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში — აჭარის ასსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს სახანძრო დაცვის განყოფილებას — შემდეგი კვარტალის დადგომამდე არა უგვიანეს 10 დღისა.

საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებშიაც უქმდება სახანძრო ქვეგანაყოფები ან სახანძრო დაცვის მუშაკთა ცალკეული თანამდებობანი, გადასცემენ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ორგანოებს სახანძრო დაცვის მუშაკთა საშტატო (სალიმიტო) რაოდენობას 1966 წლის 1 იანვრის მდგომარეობის მიხედვით, სახანძრო ქვეგანაყოფების (სახანძრო მუშაკთა ჯგუფების) მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ფონდებს და გადარიცხავენ ასიგნობებს, რომლებიც დაწესებულია ამ ქვეგანაყოფების (მუშაკების) შესანახად 1966 წლისათვის, რასაც გამოაკლდება დაფინანსებული ხარჯები და რეალიზებული ფონდები, საქართველოს სსრ საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამინისტროს პროფესიული სახანძრო დაცვის მუშაკთა რაოდენობაზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც დაწესებულია ხელშეკრულებებით საწარმოთა, ორგანიზაციათა, დაწესებულებათა დასაცავად, გადაირიცხება მხოლოდ ასიგნობანი იმ ხარჯების ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია ხელშეკრულებებით ხელფასისათვის, ნივთიერი კმაყოფისათვის (ფორმის ტანსაცმელი, საგუშაგო და სპეციალური ტანსაცმელი), კადრების მომზადებისა და პროფესიული სახანძრო დაცვის ხელმძღვანელობის აპარატის შენახვისათვის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЯ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 5 1966 год

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული
იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 4/I-1967 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108/16.
ქაღალდი 12600, ნაბეჭდი თაბახი 4,5, სააღრიცხვო თაბახი 4,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან.

ტირაჟი 2800 შეკვეთა № 1536

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა,
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ინდექსი — 76187
ეროვნული
ბიბლიოთეკა